F 412
1955

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დროშა

№ 2 თებერვალი 1955

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თბილისი. კომბინატ საქნახშირის ახალი შენობა.

ფოტო ვ. ჯეირანოვისა

КОНТРОЛЬНЫЙ ЭКЗЕМПЛЯР

გარეკანის პირველ გვერდზე ვ. ი. ლენინი.

ნახატი პ. ბლიოტკინისა.

მეოთხე გვერდზე ბაკურიანში. — ფოტოეტიუდი მ. ზარგარიანისა.

# დროშა

№ 2 (43) თებერვალი 1955 წ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

გამომცემლობა „კომუნისტი"

გამოცემის IV წელი

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი



ეროვნული ბიბლიოთეკა

საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი

F-1789




## დადგენილება

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი

### ამხ. ნ. ა. ბულგანინის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

*საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:*

*დაინიშნოს ამხ. ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ბულგანინი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ.*

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1955 წ. 8 თებერვალი.

1905 წელი. ბარიკადებზე. მხატვარი ი. ვლადიმიროვი

# მყარმ სიხარულო წყველოთ!

თბილისი. კიროვის სახელობის დაზგათმშენებელ ქარხანაში.

ფოტო ვლ. ბინზბურგისა



ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მთავარ კონვეიერზე.




რუსთავის მილები იგზავნება კუიბიშევჰესის მშენებლობაზე.

ქუთაისის ქარხანა „გორნიაკში" დამზადებული არტეზიული დგუშები.

## მ. მიქაძე

ლევან ბექაურმა მძიმეწონიანი შემადგენლობა ჩაიბარა, ერთი საათის შემდეგ უნდა გასულიყო თბილისის სადგურიდან. იგი საგულდაგულოდ ემზადებოდა ამ მგზავრობისათვის. ახალგაზრდა იყო, მაგრამ თუ ცოდნასა და გამოცდილებაზე მიდგებოდა საქმე, ბევრ ძველ მემანქანესაც არ ჩამოუვარდებოდა, არა ერთხელ გადაუყვანია მძიმეწონიანი შემადგენლობა ამ უბანზე. ახლა მაინც ღელავდა, საქმე მართლაცდა მეტად საპასუხისმგებლო იყო. თბილისი-მოსკოვი — ასეთი იყო მარშრუტი. მართალია, ამ გრძელ გზაზე მარტო ის ვერ ატარებდა შემადგენლობას, მაგრამ იმაზე, თუ თავის უბანზე როგორ გაატარებდა მატარებელს, ბევრად იყო დამოკიდებული მთელი მგზავრობის წარმატება. მრავალ ძვირფას ტვირთთან ერთად ამ შემადგენლობით საქართველოდან საახალწლო საჩუქრები იგზავნებოდა დედაქალაქისაკენ, ახალწლამდე დარჩენილი დრო კი მეტად მცირე იყო და ყოველი საათი ძვირად ფასობდა.

ელმავალი გულმოდგინედ შეამოწმა, მუხრუჭები გასინჯა, ის იყო თადარიგს მორჩა, ზეთით დასვრილი ხელები გაიწმინდა და მანქანის კაბინაში თანაშემწესთან ერთად სახელდახელო საუზმე გაშალა, რომ ელმავლის კიბეზე ჩია ტანის მოხუცმა შემოაბიჯა და მაღალ საფეხურზე ძლივს აითრია წელი.

— მობრძანდით, მობრძანდით, ბიძია ამირან, — შეეგება ახალგაზრდა მემანქანე და კიბეზე ამოსვლაში შეეშველა მოხუცს.

მოსული საუზმეზე მიიპატიჟეს, მან ჯერ უარი განაცხადა, მერე სუფრას გადახედა, ნახევარლიტრიანს თვალებმოჭუტვით დააკვირდა, მერე ლალისფრად მოკიაფე პატარა ჭიქაზე შეაჩერა მზერა, ერთბაშად დაწვდა და გადაჰკრა.

ბექაური კარგად იცნობდა მოხუცს, დალევა არ უყვარდა. ახლა დაკვირვებით მიაჩერდა მას, თვალებზე მომდგარ კურცხლებს ხელის ზურგით იწმენდდა მოხუცი.

— უჰ, მაგარი ყოფილა, ბიჭო! — წამოიძახა მან და ლევანი ახლა მიხვდა, თუ რატომ გადაჰკრა მოხუცმა კონიაკი.

— რაო, ბიძია ამირან, გეშინია არ დავითვრე, არა? — ნუ გეფიქრება, ხომ იცი ზედმეტი არ მიყვარს, ეს ისე — შესახურებლად.

მოხუცს შერცხვა, დაიბნა, მერე ერთბაშად გაიღიმა, თავისი შეუდარებელი, კეთილი, ნათელი ღიმილით და ამით უსიტყვოდ გამოტყდა, რომ თავს ძალა დაატანა, თორემ დალევა არ სურდა.

— სასმელს მაინც მოერიდე, შვილო, შეხურებას ზოგჯერ გადახურება მოყვება და ხომ იცი, გზა არის, სიფრთხილე გმართებს.

მოხუცის ამ სიმწრის ცრემლების შემდეგ შეუძლებელი იყო კაცს წინააღმდეგობა გაეწია მისთვის.

— მართალი ხარ, ბიძია ამირან, მეტს არ დავლევ, — თქვა ჭაბუკმა და ბოთლი განჯინაში შეინახა.

ასაკის დიდი განსხვავების მიუხედავად, გულითადი მეგობრები იყვნენ ლევან ბექაური და ამირან ჩლაიძე. მოხუცს მოსწონდა ეს ენერგიული, ჭკვიანი ყმაწვილი კაცი, რომელიც ჯერ 25 წლისაც არ იყო და უკვე სახელგანთქმულ მემანქანედ ითვლებოდა. ლევანსაც მამასავით უყვარდა ამირანი, თუმცა ვის არ უყვარდა ეს ტკბილი მოხუცი! ბევრის მომსწრე და

თბილისი. 26 კომისრის სახელობის ქარხანაში. ახალი საქსოვი დაზგების აწყობა.



ბევრის მნახველი იყო იგი და ამბის საინტერესოდ და მიმზიდველად თხრობა იცოდა. ძველი მემანქანე ახლა სატვირთო სადგურში კონტროლიორად მუშაობდა და მანქანისადმი დაუძლეველ ლტოლვას იმით იკლავდა, რომ ახალგაზრდა მემანქანეებთან მეგობრობდა — მზრუნველობდა, ასწავლიდა, არიგებდა მათ.

თუმცა ძველი მემანქანის ახალი თანამდებობაც არა ნაკლებ საინტერესო აღმოჩნდა, მოხუცი თვით იყო მომსწრე, თავის თვალით ნახა ამ სამი ათეული წლის მანძილზე როგორ გაიფურჩქნა, აყვავდა ჩვენი სამშობლო. მაგრამ სატვირთო სადგურში მუშაობის დაწყებამდე ამირანი ვერასდროს ვერ წარმოიდგენდა, თუ ქართული ნაკეთობანი, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქცია არათუ ჩვენი რესპუბლიკის გარეთ, საზღვარგარეთაც კი იგზავნებოდა. მერედა რამდენი რამ!

ხუთი წელია თბილისის სამგზავრო-სატვირთო სადგურში მუშაობს და დაწვრილებით იცის ამირანმა სად რა იგზავნება საქართველოდან, ახლა ისიც იცის მოხუცმა, ესა თუ ის პროდუქცია რომელ ქარხანაშია დამზადებული. პირველად თვით უკვირდა, რა მდიდრები ვყოფილვართო, ახლა სხვებს ანცვიფრებს თავისი მრავალმხრივი ცოდნით და მონათხრობით.

ბალღივით ეხალისება მოხუცს საქართველოს სიმდიდრეზე ლაპარაკი. სამუშაოზე რომ ესტუმროთ, მოუცლელობის მიუხედავად, დროს გამონახავს, დიდ დავთარს გადაშლის და დაწვრილებით მოგიყვებათ დღეს სად, რომელი ქალაქისკენ გაგზავნეს მანქანები, ჩაი, ღვინო, თამბაქო, საშენი ქვები...

მოხუცს ჩვეულებად ჰქონდა ყოველთვის, თბილისიდან გამგზავრების წინ, მოენახულებინა თავისი ახალგაზრდა მეგობარი. ახლაც მივიდა, რომ გზა დაელოცა, ერთხელ კიდევ მამაშვილურად დაერიგებინა.

— მაშ საახალწლო საჩუქრები მიგაქვს არა მოსკოვისაკენ? მიდიხარ და მიგიხარია. ეჰ, სიბერეს რა ვუთხრა, თორემ ჯერ კიდევ ამ ხუთი წლის წინათ მეც შენსავით სიამაყით მივაქროლებდი მძიმეწონიან შემადგენლობას ამ გზაზე. მიმქონდა ჩემი ხალხის, ჩემი შვილების, დებისა და ძმების მიერ ნაჭირნახულევი ძვირფასი ტვირთი და სიამაყეს ვგრძნობდი. ახლა შენ გაცილებით მეტი გაქვს საამაყო, ყოველწლიურად მატულობს საქართველოდან გასატანი ტვირთის რაოდენობა. შენ დღეს მარტო იმდენი ნაირ-ნაირი ჩარხი და დაზგა მიგაქვს, რამდენიც ამ ოცდახუთიოდე წლის წინათ არ იდგა საქართველოს ყველა ფაბრიკასა და ქარხანაში. შენც კარგად გეცოდინება, ქართული ჩარხები განთქმულია არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, დღეს თბილისის კიროვის სახელობისა და 26 კომისრის სახელობის ქარხნებში სახალხო დემოკრატიული ქვეყნებიდანაც მოდის მადლობის წერილები, გარჯასა და მარჯვენას ულოცავენ ქართველ ოსტატებს, მათ, ვინც ეს მანქანები დაამზადა.

კიროვის სახელობის ქარხანა ერთ-ერთი უდიდესი საწარმოა საქართველოში. ჩვენი ქვეყნის რომელ კუთხეში არ ნახავთ ამ ქარხნის მარკის ლითონსაჭრელ ჩარხებს. ხუთი წლის განმავლობაში 50 სხვადასხვა მოდელისა და დანიშნულების ჩარხი გაიგზავნა; სახარატო, მილსაკუთხი, მილგადასაჭრელი და ქუროგადასაჭრელი, ნაზოლშემოსაჭრელი და ვინ მოთვლის კიდევ. წელს რამდენიმე ახალი უნივერსალური ჩქაროსნული კონსტრუქციის სახარატო ხრახნმჭრელი ჩარხი უნდა აითვისონ, რომლებიც განთქმულ „დიპ-300“ და „1-დ-63-ა“-ზე უკეთესები იქნებიან.

ეს ჩარხებიც, დღეს რომ ლევან ბექაურის ელმავალი წაიღებს, სრულიად ახალი კონსტრუქციისაა. „ტტ-32“ და „ტტ-34“ აქამდე არასოდეს ჩაუწერია ბიძია ამირანს თავის დავთარში. წელს კიდევ, 8 სხვადასხვა მოდელის სრულიად ახალ ჩარხების წარმოებას აითვისებენ კიროველები. ასეა ჩაწერილი მოსკოვის ქარხანა „კრასნი პროლეტარის“ კოლექტივთან გამართულ სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებაში.

მანქანათმშენებლობა საქართველოში სრულიად ახალი დარგია და ქართველმა ოსტატებმა უკვე საქვეყნოდ ისახელეს თავი, — ტაშკენტის, ბარნაულის, ივანოვოს საფეიქრო კომბინატებში ახალი საქსოვი დაზგების ერთი ნაწილი ქართული მარკისაა. ჩინური აბრეშუმი ხომ განთქმულია და ზოგმა იქნებ არც კი იცის, რომ ბევრი იქაური ქსოვილი თბილისში, 26 კომისრის სახელობის ქარხანაში დამზადებულ დაზგაზეა მოქსოვილი.

თბილისში არის ქარხნები, რომლებიც სიდიდით არ გამოირჩევიან, მაგრამ მათ პროდუქციას ჩვენი რესპუბლიკის გარეთაც იცნობენ. მტკვრის სანაპიროზე მდებარეობს ზუსტი ხელსაწყოების ქარხანა, რომლის სახელიც შორს გასცდა ჩვენი ქვეყნის საზღვრებს. ჰელსინკში, ლაიპციგში მოწყობილ გამოფენებზე არა ერთხელ დაუმსახურებიათ ქება და მოწონება აქაურ პროდუქციას. ჩვენი ქვეყნის ელექტროსადგურებისა და ჰიდრომელიორაციული ქსელის მშენებლობებიდან, პოლონეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, უნგრეთიდან, ბულგარეთიდან ყოველწლიურად მოდის შეკვეთები აქ დამზადებულ წყლის დინების სიჩქარისა და ხარჯვის გასაზომ, დონის თვითმწერ, აორთქლების საზომ, წყალზე მზის მოქმედების გასაგებ ხელსაწყოებზე.

ბექაური უფრო თავაზიანობისათვის უსმენდა მოხუცს, თორემ ჩლაიძის ნაამბობში, ახალი თითქმის არაფერი არ იყო მისთვის. სამაგიეროდ მისი ახალგაზრდა თანაშემწე, ქოჩორა, პირტიტველი ჭაბუკი სულგანაბული იჯდა და სმენად იყო გადაქცეული.

— საინტერესოა, — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა ყმაწვილმა. — მე კი მეგონა, მხოლოდ საქართველოს ავტომობილებს იცნობენ ჩვენი რესპუბლიკის გარეთ.

— ეს კიდევ რაა, — გაიღიმა მოხუცმა და ისე ამაყად გადახედა თანამოსაუბრეთ, თითქოს ყველაფერი, რაც მოიხსენია მის მიერ ყოფილიყოს დამზადებული,—მე მხოლოდ ის მანქანები ჩამოვთვალე, რომლებიც თბილისიდან იგზავნება და ჩემს დავთარში ტარდება, თორემ საქართველოში სხვაც ბევრია მანქანათმშენებელი ქარხანა. ქუთაისის „გორნიაკი“ წყალტუმბოებსა და საშახტო მოწყობილობებს ამზადებს. ჩვენი სამშობლოს რომელ კუთხეში არ ნახავთ ჰესების, არხების მშენებლობებზე ფოთში დამზადებულ მიწისმწოვ მანქანებს, ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის მიერ გამოშვებული ბოთლების სარეცხი და თვითჩამომსხმელი მანქანები დგას მოლდავეთის, სომხეთისა, კრასნოდარისა და ყირიმის ღვინის ქარხნებში; ქუთაისურმა თვითმცლელებმა კი, თქვენც კარგად იცით, ფართოდ გაითქვა სახელი საბჭოთა კავშირში.

— მაგაზე გამახსენდა, ბიძია ამირან, — ისევ ჩაერია ლაპარაკში მემანქანის თანაშემწე, — ბორის ვაშაკიძე მიამბობდა, აი, ის, თუ გახსოვთ, პირველად რომ ჩამოიყვანა ქართული ავტომობილი კონვეიერიდან, ჩვენი სოფლელია, დიდიჯიხაიშელი. ჰოდა, ის მიამბობდა, საიდან არ მოგვდის ქარხანაში წერილე-

გორი. ბამბეულის კომბინატის ერთ-ერთი საამქროს ხედი.

თბილისი. ზუსტ ხელსაწყოთა ქარხანაში.

ბიო, უმეტესად შოფრები გვწერენო, გვიქებენ ნახელავს, მადლობას გვითვლიანო.

ყმაწვილის დაინტერესებამ ლაპარაკის მადა გაუხსნა მოხუცს. თუ შესაფერისი მსმენელი ჰყავდა, მას შეეძლო საათობით ელაპარაკნა თავის საყვარელ თემაზე — საქართველოს სიმდიდრეებზე — და ისიც განაგრძობდა:

— ქარხნებიც ავაშენეთ და მანქანების კეთებაც ვისწავლეთ, მაგრამ ჯერ კიდევ ამ ხუთი წლის წინათ მანქანებისათვის საჭირო ლითონი დონბასიდან შემოგვქონდა, ჩვენც და ამიერკავკასიის სხვა რესპუბლიკებშიც. ახლა რუსთავის მეტალურგიული ქარხანა გვაქვს. გუშინდელ დღესავით მახსოვს, მაშინ ჯერ კიდევ ჯანი მომდევდა, 1944 წელს საშენი მასალებითა და მოწყობილობებით დატვირთული პირველი შემადგენლობა რომ გავაჩერეთ უკაცრიელ, გადატრუსულ

თბილისი. მაუდის ფაბრიკის „საბჭოთა საქართველოს“ მზა პროდუქციის საწყობში.

ველზე. მართალი გითხრათ, არ მჯეროდა, ვერ წარმომედგინა, თუ ამ ადგილას ათიოდე წლის შემდეგ უზარმაზარი გიგანტი აღიმართებოდა და მთელი ქალაქი აშენდებოდა. ახლა რუსთავის ფოლადი და ნაგლინი არა მარტო საქართველოს მანქანათმშენებელ ქარხნებს აკმაყოფილებს, არამედ ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხეში იგზავნება, მილების ნამზადი კი საზღვარგარეთაც მიდის.

„რამდენი რამ იცის ამ კაცმა“ — ფიქრობდა ლევან ბექაური და ახლა ისიც გულდასმით უსმენდა მოხუცს.

— ხომ ხედავ, რა შესძლებია, შვილო, ხალხის, თავისუფალი ხალხის ძალას, — ხმას აუწია მოხუცმა.— ამ მადლიანი მიწის სიღრმეში დამარხულმა სიმდიდრემ მხოლოდ ახლა, საბჭოთა ხელისუფლების დროს ნახა მზის სინათლე. თუმცა, რაც მზის გულზე იყო, იმასაც ვერ ვიყენებდით წინათ. მადანი თუ ვერ ვიპოვეთ, ეს მთა ხომ იყო, ეს მიწა ხომ იყო.

მთებია, აბა სხვა რა არის, ბოლნისის ტუფის, ლოპტისა და სალიეთის მარმარილოს საბადოები. მთები, კლდოვანი მთები, ქვის მთები... და სწორედ ამ მთებმა გაუთქვეს სახელი ამ ადგილებს. მარტო თბილისში კი არა, მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ხარკოვის ბევრი დიდი ნაგებობა ლოპტის მარმარილოთია შემკობილი. ქართული მარმარილოთია მოპირკეთებული მოსკოვის მეტროს ზოგიერთი სადგურის შიგნითა კედლები. ბოლნისის ტუფიც ხომ ბევრ სახლს ამშვენებს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში.

— მიწაც ხომ იყო, მაგრამ აბა რას გახდებოდა ქართველი გლეხკაცი, როცა 15 კომლზე ერთი გუთანიც არ მოდიოდა, სამ მეურნეზე — ერთი სახნისი.

— საქართველო ვაზის სამშობლოდ ითვლება, მაგრამ რევოლუციამდე საქართველოს ფარგლებს გარეთ თითო-ოროლა უცხოელი მოგზაურის გარდა არავინ იცოდა ქართული ღვინოების ღირსება. ახლა კი მოსკოვის, ლენინგრადის რესტორნებში ისე მოითხოვს მომხმარებელი წინანდალს, ხვანჭკარას, კარდანახულს, თითქოს საყოველდღეო კერძი მოეთხოვოს. შვილიშვილი მიამბობდა, არგენტინაშიც გაუშენებიათო ქართული ჯიშის რქაწითელი. ალბათ, იქაურ სტუმარს ქართული ღვინო მოეწონა, ქართული ღვინო და ყურძენი. ამბობენ, ინდოელმა რეჟისორმა რაჯ კაპურმაც წაიღო თავის სამშობლოში ქართული ვაზის ნერგიო.

ამ 30 წლის წინათ ქართული ჩაი არავის გაეგონა ქვეყანაზე. ამჟამად კი საქართველო ჩაის ერთადერთი მთავარი მწარმოებელია საბჭოთა კავშირში. ერთმა აგრონომმა მითხრა, რევოლუციამდე საქართველოში სულ 546 ჰექტარი ჩაის პლანტაცია იყოო, ახლა მაგაზე მეტი ფართობი მარტო ლაითურის საბჭოთა მეურნეობას აქვს. როგორც ამბობენ, ქართული ჩაი ღირსებით ცეილონისა და ინდოეთის ჩაის არ ჩამოუვარდებაო.

— მთავარი თავისუფალი ხალხის ძალაა, თორემ ბუნებრივ სიმდიდრეებზე თუ მიდგება საქმე, — განაგრძობდა მოხუცი, — მინერალური წყლებიც ხომ იყო, საკურორტო ადგილებიც ხომ იყო, მაგრამ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს გამოვიყენეთ ყველაფერი ჯეროვნად. ბორჯომის მინერალური წყალი, ალბათ, საუკუნეების განმავლობაში დიოდა, მისი საკურორტო თვისებებიც დიდი ხანია ცნობილია, მაგრამ რევოლუციამდე შავი ზღვის ნაპირებს არ გაცდენია მისი სახელი. დღეს ბევრმა იქნებ ქალაქ ბორჯომის არსებობა არ იცოდეს, ბორჯომის წყალი კი იცის. სპეციალურ ქარხანაში ყოველწლიურად მილიონობით ლიტრი ისხმება და იგზავნება მთელ საბჭოთა კავშირში. ამას წინათ გაზეთში ვკითხულობდი, ახლო მომავალში 10 მილიონი ლიტრი სიმძლავრის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი. მზა პროდუქციის შიფუთვა სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატში.

ქარხნები აშენდებაო, აგრეთვე, საირმეში, ზვარეში, ავადხარაში, სქურსა და ნაბეღლავში. მაშინ კიდევ უფრო გაითქვამს სახელს საქართველოს მინერალური წყლები.

— ჩემი გამგზავრების დროც მოახლოვდა, ბიძია ამირან, — თქვა ბექაურმა, ელმავლიდან ჩამოვიდა და ერთხელ კიდევ შეათვალიერა მანქანა. ახარებდა მისი კრიალა, მძლავრი ნაწილების თვალის შევლება.

რამდენიმე წუთის შემდეგ ლევან ბექაური თავის თანაშემწესთან ერთად ელმავლის პულტთან იდგა და გამგზავრების ნიშანს ელოდა. წუთიც და მძიმედ აღრჭიალდნენ ბორბლები, შემადგენლობა დაიძრა, მოხუცი ბაქანზე იდგა და გზას ულოცავდა თავის ახალგაზრდა მეგობარს.

— ბედნიერი გზა გქონდეთ, მუდამ სიხარული წაგეღოთ, მთელი ჩვენი ქვეყნისათვის მოგეფინოთ ქართველი ხალხის ახალ-ახალ გამარჯვებათა ამბავი, მათი შრომის ბარაქა!

თბილისი. აბრეშუმ-საქსოვი ფაბრიკის ერთ-ერთი საამქრო.

# რკინა-ბეტონის კონსტრუქციების ქარხანაში



ძაბვით-არმირებული რკინა-ბეტონის ფილების დამამზადებელი კომბაინი მუშაობის დროს. მანქანა გრძელ ზოლებად აფენს ბეტონს და შემდეგ თვითვე ათანაბრებს და ტკეპნის სხმულს.

ერთი წუთით წარმოვიდგინოთ საამშენებლო ტექნიკის ხვალინდელი დღე.

მძლავრ ამწევ მანქანებს უდიდესი საკედლე პანელები აუტაცნიათ და ფრთხილად ათავსებენ უკვე დადგმულ ასეთივე პანელების გვერდით. შემდეგ ამწევი მანქანები შენობის დანარჩენ ნაწილებს — კიბის მარშებსა და ბაქნებს, იატაკებსა და სხვა დეტალებს აიტაცებენ და ასევე ფრთხილად აწყობენ დანიშნულ ადგილზე. სახლის კედლები ჩვენს წინ, თვალსა და ხელს შუა მაღლდებიან. სინამდვილეში სახლი კი არ შენდება, არამედ ცალკეული ნაწილებისაგან იკვრება, იწყობა, სწორედ ისე, როგორც ქარხანაში დაზგებს აწყობენ ხოლმე.

ასეთ მშენებლობებს ჩვენს რესპუბლიკაში ჯერჯერობით ვერ შეხვდებით, მაგრამ პირველი ნაბიჯები ამ მიმართულებით უკვე გადადგმულია.

ვისაც ქართველი მეტალურგების ქალაქის — რუსთავის ქუჩებში გაუვლია და იქაური სამშენებლო მოედნები უნახავს, შეამჩნევდა, რომ რუსთაველი მშენებლები საბინაო თუ სამრეწველო ნაგებობისთვის ფართოდ იყენებენ რკინა-ბეტონის ასაწყობ დეტალებს.

ამ დეტალებს ხშირად მეტად გრძელი და რთული სახელწოდება აქვთ, როგორც, მაგალითად: ასაწყობი დიდპანელიანი, ხშირწიბოვანი გადახურვები სამრეწველო ნაგებობებისათვის, ანდა ასაწყობი მრავალღრუიანი ძაბვით-არმირებული რკინა-ბეტონის გადასახურავი ფილები საბინაო მშენებლობისათვის. უბრალოდ კი ამ დეტალებისთვის საქარხნო წესით დამზადებული ფილები შეიძლება გვეწოდებინა. ასეთ დიდრონ ფილებს, როგორც სამშენებლო მასალას, ფართოდ იყენებენ შენობათა სახურავებისათვის და სართულებს შორის გადახურვისათვის. პოპულარული საბავშვო სათამაშოს „მშენებლის" მსგავსად მთგან რაიმეს ასაშენებლად ფილების ერთმანეთზე დაწყობაა საჭირო.

ყოველივე ამის შემდეგ, ადვილად წარმოსადგენია, თუ რამდენად აჩქარებს მშენებლობას, სამშენებლო ხე-ტყის და ლითონის რაოდენ ეკონომიას იძლევა რკინა-ბეტონის კონსტრუქციების გამოყენება.

ასეთი ფილების დამზადების პროცესის ახლო გასაცნობად დავათვალიეროთ რუსთავის ბეტონის დამამზადებელი ცენტრალური კომბინატი, რომელიც უდიდესია ჩვენს რესპუბლიკაში არსე ულ ასეთ საწარმოთა შორის. ეს კომბინატი მთელ რიგ საამქროებსა და რამდენიმე ქარხანას აერთიანებს, მათ შორისაა რკინა-ბეტონის ნაგებობათა უდიდესი პოლიგონიც.

ყრუდ, ხმაშეწყობით გუგუნებენ ვიბრატორები, მსუბუქად დასრიალებენ ამწევი მანქანების ისრები, დიდ-დიდ შტაბელებად ალაგია რკინა-ბეტონისაგან დამზადებული ნაკეთობანი.

პირდაპირ ღია ცის ქვეშ, გრძელ რიგებად დაუწყვიათ მომავალ ნაკეთობათა ფორმები — ყალიბები. ყოველ მათგანში ლითონის არმატურაა მოთავსებული, რომელმაც ჩონჩხსავით უნდა მისცეს სიმაგრე დასამზადებელ დეტალს. აი, ბეტონით დატვირთული თვითმცლელი მანქანები ყალიბებს უახლოვდებიან და ერთიმეორის მიყოლებით ბეტონით ავსებენ ლითონის კარკასიან ფორმებს.

პოლიგონზე მომუშავე ადამიანები გულდასმით ადევნებენ თვალყურს ბეტონის თანაზომიერ ფენებად ჩამოსხმას, ვიბრატორების საშუალებით ასქელებენ ბეტონის წყობას, ასწორებენ და აბათქაშებენ სხმულის ზედაპირს.

ახლა ბეტონს მხოლოდ გამაგრებაღა ესაჭიროება, რის შემდეგაც მათ ამწევი მანქანის კაუჭს გამოსდებენ და ფორმებიდან ამოიღებენ. ყოველ ფორმაში 25 ასეთი მზა დეტალია.

რუსთავის პოლიგონზე ათასობით სხვადასხვა სახის დეტალი მზადდება. მაგრამ გასაოცარი ის არის, რომ სამუშაოთა ასეთი დიდი მასშტაბების მიუხედავად, აქ იშვიათად შეხვდებით ადამიანებს. მთელ სამუშაოებს პოლიგონზე მხოლოდ ერთი კომპლექსური ბრიგადა აწარმოებს, რომელსაც კომკავშირელი იაკობ სოფრომაძე ხელმძღვანელობს. ამ ბრიგადის წევრები თავისი საქმის ნამდვილი ენთუზიასტები არიან, ბევრი მათგანი რამდენიმე საწარმოო პროფესიას დაეუფლა, რათა მეტად მრავალფეროვან კომპლექსურ სამუშაოთა გაძღოლა შესძლებოდა. ნიკოლოზ ქელეხსაევი ერთდროულად მებეტონეცაა და ლითონის კონსტრუქციების ჩამბმელიც. ორ-ორ პროფესიას ფლობენ ანა კარასევა, ნადეჟდა მანოჟინა, და მათი ბევრი სხვა ამხანაგი.

ახლა პოლიგონის სხვა უბნებიც დავათვალიეროთ. ჩვენ წინ აღიმართება ორსართულიანი სახლის სიმაღლის უზარმაზარი ლითონის ნაკეთობა, რომელიც ფართოლიანდაგიან საყრდენზეა მოთავსებული. ეს ძაბვით-არმირებული რკინა-ბეტონის ფილების დამამზადებელი კომბაინია. კომბაინის მიერ დამზადებული მრავალი ათასი ასეთი ფილა, როგორც სახურავთ შორის გადასახურავი საუკეთესო მასალა, უკვე წარმატებით იქნა გამოყენებული რუსთავის ბინათმშენებლების მიერ.

აი, კომბაინის მემანქანემ გადასწია ბერკეტის სახელური და უზარმაზარი მანქანა 180 მეტრიანი სტენდის გასწვრივ ამოძრავდა.

კომბაინის მიერ გავლილ ადგილზე კი ბეტონის უწყვეტი კვალი ჩნდება, რომელმაც წინასწარ მომზადებული ლითონის არმატურა უნდა ამოავსოს. ბეტონის ჩასხმასთან ერთად, მანქანა სხმულის გასწორება-გასქელებასაც აწარმოებს.

ბეტონის ფენა ფენაზე ეწყობა და სულ მალე სხმულის სისქე ადამიანის სიმაღლეს აღემატება. ამის შემდეგ საჭირო ხდება სახერხი დაზგის საშუალებით ბეტონის გრძელი ზოლის იმ ზომის ფილებად დახერხვა, როგორიც მშენებლებსა აქვთ შეკვეთილი.

ძაბვით-არმირებული ფილების დახერხვა საჭირო ზომების მიხედვით. სახერხ დაზგას მართავს ახალგაზრდა სპეციალისტი გიორგი სტეფნიაშვილი.

ასაწყობი რკინა-ბეტონის გადასახურები მზადაა.



რუსთავის საალმშენებლო პოლიგონის კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი კომკავშირელი იაკობ სოფრომაძე.

მათ დამზადებაში დაუღალავი შრომით თავი ისახელეს ბრიგადირმა დავით საყვარელიძემ, გამხერხავმა გიორგი სტეფნიაშვილმა, ოპერატორმა პავლე ლუტიძემ, მეამწე ვალენტინა იაშჩიკმა და სხვებმა.

ცვლაში ერთ ნახევარი ნორმა — აი, მათი თავდადებული შრომის ნაყოფი.

მაგრამ ის, რაც რუსთავის პოლიგონზე ხდება, დიდი საქმის მხოლოდ დასაწყისია.

მშენებლებს განზრახული აქვთ უახლოეს მომავალში აითვისონ დიდბლოკებიანი რკინა-ბეტონის კონსტრუქციების წარმოება, სულ მალე აქ დაიწყებენ კიბის ბაქნების და საფეხურების, აივნის ფილების, სხვადასხვა ზომის კოჭების, შენობათა სეისმური სარტყლების და სხვა დეტალების დამზადებას. და მაშინ რუსთავის მშენებლობაც ჩვენი ნარკვევის დასაწყისში აღწერილ ინდუსტრიულ მშენებლობას დამსგავსება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებული უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებებით ფართო პერსპექტივა იქმნება ჩვენს ქვეყანაში სამშენებლო ინდუსტრიის ახალი დარგის—რკინა-ბეტონის კონსტრუქციების და დეტალების მასობრივი, საქარხნო წესით დამზადების განვითარებისათვის, მშენებლობის ინდუსტრიულ მეთოდებზე გადასვლისათვის.

ასაწყობი რკინა-ბეტონის წარმოება მიმდინარე წლის 1860 ათასი კუბური მეტრიდან 1957 წლისათვის ერთი ხუთად უნდა გაიზარდოს.

დიდი და საპასუხისმგებლო ამოცანაა! ამ ამოცანის წარმატებით განხორციელებაში ახალგაზრდა ქალაქის — რუსთავის მშენებლებსაც შეაქვთ თავიანთი წვლილი.

ა. ჯაფარიძე, ი. პოლიაკოვი



საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზე რუსთავში. მშენებლები სართულებს შორის გადახურვისთვის ფართოდ იყენებენ რკინა-ბეტონის კონსტრუქციებს.

# ახალი მეჯვრისხევი

ავტობუსი თავის დროზე გავიდა გორის ავტოსადგურიდან სოფელ მეჯვრისხევისაკენ. ნახევარი საათი და ჩვენ უკვე დანიშნულ ადგილზე მივედით.

კარგა მოზრდილი სოფელია მეჯვრისხევი. იგი ქალაქისებურ დასახლებულ პუნქტს უფრო წააგავს.

ირგვლივ გადაჭიმული ფართო მინდვრები უხვ მოსავალს აძლევენ სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში გაერთიანებულ მეჯვრისხეველებს. მრავალფერია მათი მეურნეობა. 2500 ჰექტარ ფართობზე მოჰყავთ ხორბალი, სიმინდი, ჭარხალი და ბოსტნეული.

მათს მესაქონლეობის ფერმებში 940 მსხვილფეხა საქონელია და 200-დე ღორი.

მეჯვრისხეველები განსაკუთრებული გულისყურით ეკიდებიან მეხილეობასა და მევენახეობას.

კარგად მოვლილი ბაღები დიდ სარგებელს აძლევს გამრჯე კოლმეურნეებს. გასულ წელს ყოველ ჰექტარიდან 150 ცენტნერი ვაშლი მიიღეს მეხილეებმა. მეხილეობის ზრდამ საგრძნობლად გაზარდა კოლმეურნეობის ფულადი შემოსავალი. თუ 1951 წელს მეჯვრისხევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის შემოსავალი 2,5 მილიონ მანეთს ძლივს აღწევდა, გასულ წელს არტელის შემოსავალმა 4,5 მილიონ მანეთს მიაღწია, რამაც ძალზე გაზარდა განუყოფელი ფონდი.

შემოსავლის თანდათანობითმა ზრდამ კოლმეურნეობას საშუალება მისცა ფართოდ გაეშალა საწარმოო და კულტსაყოფაცხოვრებო ხასიათის მშენებლობა, რომელზედაც უკანასკნელი წლების განმავლობაში დაიხარჯა 5 მილიონი მანეთი. აგებულია საქონლის ფერმის შენობები, ელექტროსადგური, რომელიც მუშაობს ტრირიფონის არხის წყლის ენერგიით, გარაჟი, რომელშიაც მოთავსებულია 8 საბარგო ავტომობილი და ორი მსუბუქი ავტომანქანა — „მოსკვიჩი“ და „ზიმი“.

კოლმეურნეთა ბინები მთლიანად ელექტრიფიცირებულია. საკოლმეურნეო რადიოკვანძი მომსახურებას უწევს 650 ოჯახს. მეჯვრისხეველები სისტემატურად უსმენენ მოსკოვისა და თბილისის რადიოგადაცემებს.

გასულ წელს დასრულდა სატელეფონო სადგურის მშენებლობა. ტელეფონები დადგმულია სოფლის საბჭოში, კოლმეურნეობის გამგეობაში, ჰიდროელექტროსადგურში, სასოფლო საავადმყოფოში, სკოლებში, სასაქონლო ფერმებში, სახელოსნოში, გარაჟსა და კულტურის სახლში.

უკანასკნელი წლების განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა სოფლის ინტელიგენცია. მათ შორის მრავალია უმაღლესი ცოდნით: მასწავლებლები, ექიმები და აგრონომები. ასი მათგანი ამჟამად მუშაობს სოფლის სკოლებში (დაწყებითი, რვაწლედი, საშუალო და მოზრდილთათვის), საკოლმეურნეო საავადმყოფოში, მინდვრებსა და ფერმებში.

არტელის გამგეობა ყოველგვარ ზომებს ხმარობს კოლმეურნეთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად. აქ ჩამოყალიბებულია სამწლიანი აგროზოოტექნიკური კურსები. მუშაობს ლექტორთა ჯგუფი, რომელიც კოლმეურნეთა შორის სხვადასხვა თემებზე სისტემატურად ატარებს ლექციებს.

საკოლმეურნეო კულტურის სახლში ჩამოყალიბებულია ბიბლიოთეკა, რომელიც 5000 წიგნს შეიცავს. მეჯვრისხეველები სიამოვნებით ისმენენ კონცერტებს, რომლებსაც მართავენ კულტურის სახლთან არსებული თვითმოქმედი წრეები. 600 ადგილიანი დარბაზი ყოველდღე სავსეა მაყურებლით. აქ სისტემატურად უჩვენებენ ახალ კინოსურათებს.

ხუთასზე მეტი ოჯახი იღებს სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებს.

კოლმეურნეობის მატერიალური დოვლათის ზრდამ კოლმეურნეებს ახალი ბინების მშენებლობისა და ძვირფასი საყოფაცხოვრებო ნივთების შეძენის შესაძლებლობა მისცა. ამ ნივთებს ისინი თავისივე სოფლის მაღაზიებში იძენენ.

მეჯვრისხევის სასოფლო კოოპერატივის ოთხმა მაღაზიამ გასული წლის მარტო მეოთხე კვარტალში კოლმეურნეებს მიჰყიდა 2,5 მილიონის სხვადასხვა საქონელი.

ასე გამოიყურება მეჯვრისხევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა დღეს. კიდევ უფრო უკეთესი იქნება მისი ხვალინდელი დღე.

**ფოტოზე (ზემოდან ქვემოთ):** კოლმეურნე ეთერი ჟუჯიაშვილი საკოლმეურნეო ბაღში კრეფს საზამთრო ჯიშის ვაშლებს; მეჯვრისხევის საფოსტო განყოფილების ფოსტალიონი რაჟდენ ურიგაშვილი კოლმეურნე გიორგი სოყურაშვილსა და მის მეუღლეს ეკატერინეს აწვდის ჟურნალ-გაზეთებსა და წერილებს; სალექტორო ჯგუფის წევრი რვაწლიანი სკოლის დირექტორი მ. ხომასურიძე მერვე ბრიგადის წევრებთან ატარებს მორიგ ლექციას; ბიბლიოთეკარი კ. ურიგაშვილი წიგნებს ურჩევს კოლმეურნეებს; საკოლმეურნეო ავტომატური სატელეფონო სადგურის უფროსი მექანიკოსი შ. შევარდნაძე ამოწმებს სადგურის მუშაობას.

ფოტო ვ. ჩერკასოვისა



## ვიქტორ გაბესკირია

### კახეთს

მუდამ მხიბლავდი და მიზიდავდი,
მუდამ ბრწყინავდი გმირულ ამბავში,
ბევრჯერ ოცნების კარავი დავდგი
შენს ახლოს, წინათ, — ჩემს ბავშვობაში.

წარსულში ბევრჯერ განმიმარტოვდა
სული, — მეხვია მხოლოდ ჩრდილები,
სადღაც ზღვის პირას, პალიასტომთან,
მე შენს ვაუკაცურ სულს ვმორჩილებდი.

ფიქრით უფრო შორს თუ გადავედი,
კვლავ ურუანტელი დამივლის ტანში,
ამოვდგომივარ ბრძოლაში გვერდით
უცხენო მხედარს, ვაუკაც ბოსტაშვილს.

მაშინ ალაზნის ველზე მეც ვმდგარვარ,
დავდევდი იმ ცხენს, ისე ვით ნიავს,
მე იმ ბრძოლაში თუ არ მოვმკვდარვარ, —
მიყვირია და მიკიჟინია.

სიტურფე გესვა შენ მთა და ბარად,
მაგრამ მას, მუდამ, საღამოს, დილით,
ხან ქვაბულიძის სევდა ფარავდა,
ხან ოთარაანთ ქვრივის მანდილი.

დღეს კი ლამაზად გიბრწყინავს ველი,
გამკობს ურიცხვი ბაღი და ეზო,
დღეს სულ სხვაგვარად ხარ მომხიბვლელი
მხარეო ტკბილო, ულამაზესო!

ძველად გაშფოთეს მწარე განცდებმა,
ლამაზის ცრემლი ბაღს გისველებდა,
დღეს მხოლოდ ცვარი თუ დაბრძანდება
შენს ბაღში, ისიც განსასვენებლად.

რაც მიმალული შენში ყოფილა,
უკვე საქვეყნო განძად გახადე,
და შენ, ვაზებით ხელაპყრობილი,
დიად საბჭოთა ცას შეჰღაღადებ!

## არჩილ სულაკაური

*
* *

ბარდნის და ბარდნის...
მე მაშინ ალბათ
სასაცილო და პატარა ვჩანდი,
როს გორაკიდან სრიალით დაბლა
დავეშვებოდი საკუთარ ჩანთით.

ბარდნის და ბარდნის...
და მახსოვს მუდამ,
მახსოვს,
თოვლისფერ შალით შებურვილს
აღტაცებული გესროდი გუნდას
ვეება ჭადარს მოფარებული.

მე მახსოვს შენი მწყრალი თვალები,
წინ გაშვერილი ფარივით ჩანთა.
შენ არ იცოდი, რომ მთრთოლვარებით
ველოდი მუდამ თოვლიან ზამთარს.

ბარდნის და ბარდნის...
ეს იყო წინათ,
ჩვენ პატარები ვიყავით მაშინ...
დღეს გეუბნები:
ჩააცვი თბილად
და გაატარე ქუჩაში ბავშვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ორთაჭალის სათბურებში

ორთაჭალის ბოსტნეულს თბილისის ბაზრებზე მუდამ დიდი გასავალი ჰქონდა. სანამ ვერა, ვაკე და მის ახლომახლო მდებარე ადგილები ჯერ ისევ გარეუბნად ითვლებოდა, თბილისელებს მუდამ შეეძლოთ ახლადდაკრეფილი ბოსტნეულის შოვნა. მაგრამ ქალაქი სწრაფად იზრდებოდა. მტკვრის ნაპირას გაშენებული ორთაჭალელ წვრილმესაკუთრეთა პატარა ბაღ-ბოსტნები, რომელთაც საკუთარი ლობის ჩრდილიც კი დაფარავდა, ვეღარ აუდიოდნენ ქალაქის მომარაგებას. ყალთაბანდი მემწვანილეები ნაშუადღევს დოქის წყლით აცოცხლებდნენ დამჭკნარ მწვანილს... რთვლობისათვის კიტრი ბაზარზე უკვე აღარ იშოვებოდა, ხოლო ოქტომბერში პამიდორის საყიდლად მუშტრის გაფრთხილება იყო საჭირო: დერეფანში დამწიფებული არ გეგონოთ, ორთაჭალაშია მოყვანილიო.

რას იტყოდნენ ეს თბილისელები შუა ზამთარში დარბაზებში დამწიფებული კიტრი და პამიდორი რომ ეხილათ...

მართლაც დარბაზებს მოგვაგონებს ორთაჭალელ კოლმეურნეთა უხვად განათებული კეთილმოწყობილი სათბურები.

გარეუბნის მახარაძის სახელობის ორთაჭალის კოლმეურნეობის სათბური კომბინატი უხვად განშტოებული მილებით სითბოს სპეციალურად აშენებულ საქვაბედან ღებულობს. სამრიგად განლაგებულ სტელაჟებზე მიწა კოლმეურნეობის ნაკვეთიდანაა შეტანილი. კომბინატში თხუთმეტი სექციაა. ხუთ მათგანში უკვე ნოემბრიდან დაიწყეს პამიდორის გამოყვანა. წლის ბოლოსათვის მათ უკვე პამიდორის ახალი მოსავალი მისცეს კოლმეურნეებს. ორთაჭალელები ხელმეორედ ამუშავებენ სტელაჟებს, აბრუნებენ მიწას, გადააქვთ ჩითილები, რათა მარტისათვის კიდევ ახალი მოსავალი მიიღონ.

სპეციალური სექციებია განკუთვნილი კიტრისათვის. მათში უკვე 3500 ძირი კიტრია მოსაკრეფი, ამ საქმეს გამოცდილი მებოსტნეები გრიგოლ კუჭავა და დანგაძე ხელმძღვანელობენ.

საკოლმეურნეო მინდვრებზე უხვმოსავლიანობას შეჩვეულ მებოსტნეს ცოტა არ იყოს ეუხერხულება როდესაც ჰექტარების ნაცვლად ძირებით ითვლის მოსავალს. მაგრამ მას მაინც ბევრი რამით შეუძლიან იამაყოს: მისთვის მიბარებულ თვითეულ სექციაში ათას ორასი კიტრის ძირია გახარებული, რომელთა მოსავლიანობა ათას კილოგრამს მიაღწევს.

მცენარეთა ზრდისათვის საჭირო მუდმივი ტემპერატურის გარდა დიდი მნიშვნელობა აქვს სათბურებში სავალდებულო ტენიანობის დაცვას. ორთაჭალელთა სათბურებში დილდილობით ყოველთვის ნახავთ მცვრიან კიტრსა თუ პამიდორს, გეგონებათ ისინი ღიაცის ქვეშ გახარებულანო.

ორთაჭალის კეთილმოწყობილი სათბურები რუს და ქართველ კოლმეურნეთა მეგობრობის პირმშოა. ტიმონინელთა გამოცდილება ბევრ რამეში დეხმარა ქართველ კოლმეურნეებს. ორთაჭალელთა ამ კარგ წამოწყებას დიმელმა და გლდანელმა კოლმეურნეებმაც მიბაძეს. მალე მათ სათბურებში გამოყვანილი ბოსტნეულიც დაამშვენებს თბილისელ მშრომელთა სუფრას.

ფოტო ვ. ჩერკასოვისა

ფოტოზე (ზემოთ): სათბურებში ხშირად შეხვდებით სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტებს, ახალგაზრდა კოლმეურნეებს გ. კარტოზიას და გ. პაპალაშვილს, რომლებიც გამოცდილი მებოსტნის დანგაძის დახმარებით აწარმოებენ ნერგებზე დაკვირვებას. მარცხნივ კოლმეურნე გ. კუჭავა რწყავს სტელაჟებს; მარჯვნივ — კოლმეურნე ნ. დეკანოსიძე და ბრიგადირი ა. ბარამიძე (მარჯვნივ) პამიდორის ახალი მოსავლის აღების დროს; ახალგაზრდა კოლმეურნეები ყვავილების კრეფის დროს (მარცხნიდან მარჯვნივ): ნ. ნიკურაძე, ა. მურადოვა და ც. ულუმბერაშვილი. უკანა პლანზე გამოცდილი მეყვავილე გ. გოგელია; ქვემოთ ორთაჭალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის სათბური მეურნეობის საერთო ხედი.





ყურადღებას! ლაპარაკობს თბილისის პიონერთა სასახლის რადიოკვანძი! მიკროფონთან არის 46-ე სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე, პიონერთა სასახლის რადიოკომიტეტის დიქტორი, ლიანა შარაშიძე. მოისმინეთ ნარკვევი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თბილისის პიონერთა შესაბამ

ე. მარიამიძე

## ჩვენი საამაყო „წინაპრები"

მიმდინარე წლის 2 მაისს ჩვენს სასახლეს დაარსებიდან თოთხმეტი წელი უსრულდება. იგი ჯერ კიდევ არ გასცილებია პიონერულ ასაკს, ჩვენსავით ნორჩია, მაგრამ ამ მცირე ხნის განმავლობაში მრავალი მოსწავლე აღზარდა, მრავალ მათგანს აპოვნინა შესაფერი ხელობა და პროფესია. ალბათ ბევრ თქვენგანს ახსოვს მე-11 კლასელთა ერთ-ერთი გამოსაშვები საღამო, რომელიც ჩვენი სასახლის კლუბში ჩატარდა. საზეიმო ნაწილის შემდეგ ჩაქრა სინათლე, გაიხსნა ფარდა და მე-11 კლასელების ნაცვლად სცენაზე გამოჩნდა კინო-ეკრანი, რომელზეც უეცრად ამოძრავდნენ პატარა გოგონები და ბიჭები, მათ პატარა ჩანთები ეჭირათ ხელში და ძლივს ადიოდნენ სკოლის ფართო კიბეებზე. ეს იყო პირველკლასელთა პირველი დღე სკოლაში. სინათლე კვლავ აინთო. სცენაზე მე-11 კლასელები გამოვიდნენ და უკვე „ცოცხალი წარმოდგენით" გააგრძელეს დრამატული მონტაჟი, რომელიც სკოლაში გატარებულ წლებს ეხებოდა.

საღამოს შემდეგ მე-11 კლასელებმა დიდი მადლობა გადაუხადეს ჩვენი სასახლის კინო-კაბინეტის წევრებს; მათ მიერ იყო გადაღებული კინოკადრები.

მაშინდელი გამოსაშვები საღამოს მონაწილენი, თბილისის პიონერთა სასახლის კაბინეტების სხვა წევრებთან ერთად, ახლა ლექციებს ისმენენ ჩვენ-სამშობლოს უმაღლეს სასწავლებლებში. ზოგი მათგანი უკვე ცნობილი ინჟინერია, ზოგი გემთმშენებელი, ზოგი რადიოსპეციალისტი. მუშაობენ ქვეყნის მშენებლობის სხვადასხვა უბნებზე და აგონდებათ პიონერთა სასახლეში გატარებული წლები: გემთმშენებელთა კაბინეტი და საკუთარი ხელებით გაკეთებული კრეისერ „ავრორას" მოდელი; რადიომოყვარულთა კაბინეტი და დამოუკიდებლად დამზადებული რადიომიმღები.

ამას წინათ, ჩვენი სასახლის პიონერებმა შეხვედრა მოუწყეს უნივერსიტეტის ლიტერატურული ალმანახის „პირველი სხივის" ავტორებს. ალმანახში მოთავსებულ ნაწარმოებთა უმრავლესობა ხომ მათ კალამს ეკუთვნის, ვინც პირველი ლექსი აქ დასწერა, ჩვენს სასახლეში. სასახლის ლიტერატურულ კაბინეტში სხვა წიგნებთან ერთად კაბინეტის ყოფილი წევრის ნაზი კილასონიას ლექსების კრებულიც ინახება. პიონერთა სასახლის პედაგოგებმა უკვე ნახეს მარჯანიშვილის სახელობის თეატრის ახალი დადგმა: „რაიკომის მდივანი", რომელიც ლიტერატურული კაბინეტის ყოფილი წევრის რევაზ თაბუკაშვილის დაწერილია. ასევე ესწრებიან პედაგოგები და პიონერები სპექტაკლებს სასახლის დრამატული წრის ყოფილი აღსაზრდელების მონაწილეობით: ბადრი კობახიძეს, მერაბ თაბუკაშვილს, გურამ სალარაძეს, რამაზ ჩხიკვაძეს მაყურებლები ხშირად აჯილდოებენ გულწრფელი ტაშით. საქართველოს მხატვართა გამოფენებზე ხშირად ნახავთ გოგი თოთიბაძის ტილოებს, მისი ბავშვობის დროინდელი ნახატები ახლაც ამშვენებს პიონერთა სასახლის დერეფნებსა და ოთახებს. საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნისა და საკმაოდ

აქტიურ მუშაობას ეწევა პიონერთა სასახლის ლიტერატურული კაბინეტი. აქ ხშირად ეწყობა ნორჩი ავტორების ახალ ნაწარმოებთა კითხვა-განხილვა. თავიანთი მოთხრობებით, ლექსებით, ნარკვევებითა და მხატვრული მონტაჟებით ყურადღებას იქცევენ: დ. წერედიანი, ნ. გაბრიჩიძე, დ. ზუმბაძე, ვ. პანოვი, თ. ჯავახიშვილი, ნ. მახარაძე და სხვ. უცხო ენათა წრის წევრები უშვებენ კლასიკოსების ცხოვრებისადმი მიძღვნილ კედლის გაზეთებს. კაბინეტი გამოსაცემად ამზადებს ნორჩ შემოქმედთა ლიტერატურულ კრებულს, აგრეთვე ფოლკლორისტების შეგროვილ მასალებს.








ნორჩი ავიომოდელისტები ყოველთვის საპრიზო ადგილებს იკავებენ რესპუბლიკურ შეჯიბრებებში, არა ნაკლებ საინტერესო მუშაობას ეწევიან სამაკეტო წრის წევრებიც. პიონერთა სასახლის ობსერვატორიაში მოსწავლეები ვარჯიშობენ ასტრონომიულ იარაღებზე, ისინი ოცნებობენ ახალი ვარსკვლავის აღმოჩენაზე, რომელსაც, რასაკვირველია „პიონერს“ შეარქმევენ.

ცნობილ სიმფონიურ ნაწარმოებთა ავტორი ოთარ თაქთაქიშვილი ხშირი სტუმარია პიონერთა სასახლისა: „მე ახლაც ვგრძნობ პიონერული ყელსახვევის სითბოს — განაცხადა მან — სიცოცხლის ბოლომდე არ შევარცხვენ მის ღირსებას, ამიტომ მინდა ვწერო თქვენზე, ჩემს ნორჩ მეგობრებზე“. მანანა ტოგონიძე — საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გოგონათა შორის — პიონერთა სასახლის ჭადრაკის წრეშია აღზრდილი. ავიომოდელისტთა კაბინეტის წევრები, რ. მხეიძე, მ. რუსაძე, კ. კოჩუაშვილი და სხვები ახლა მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის, უუკოვსკის სახელობის საავიაციო აკადემიისა და ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის სტუდენტები არიან. საავიაციო საქმის სიყვარული მათ პიონერთა სასახლეში ჩაენერგათ, აქ ააწყეს პირველი რეზინის მოდელები იმ ადამიანებმა, რომლებიც მომავალში ჩვენი სამშობლოს ცნობილი ავიოკონსტრუქტორები გახდებიან და რომლებიც ჩვენი სასახლის საამაყო „წინაპართა“ რიცხვს შეემატებიან.

მაგრამ პიონერთა სასახლემ მარტო ერთი პროფესიის სიყვარული კი არ ჩაუნერგა მათ, მარტო მწერლებად, მხატვრებად, კომპოზიტორებად და ინჟინრებად კი არ აღზარდა ისინი. ჩვენი პედაგოგები დაუღალავ მუშაობას ეწევიან იმისათვის, რომ ყოველმა პიონერმა რაც შეიძლება ფართო, პოლიტექნიკური განათლება მიიღოს. რომელიმე სპეციალობის დაუფლებასთან ერთად პიონერი წარმატებით უნდა ითვისებდეს ყოველ საგანს სკოლაში. ხომ იცნობთ ტკაჩოვს, იგი ნიჭიერი ავიომოდელისტია, მედალიც აქვს მიღებული სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე, მაგრამ ერთ დღეს სკოლიდან მოვიდა ცნობა: მას გერმანულ ენაში სუსტი ნიშანი მიეღო. ამის შემდეგ ტკაჩოვი თუმცა კაბინეტში დადიოდა, მაგრამ სანამ ნიშანი არ გამოასწორა, უფლება არ მისცეს მუშაობა გაეგრძელებინა თავის ავიომოდელზე, ანდა სმირნოვის ამბავი: მას ხომ კარგი სცენური მონაცემები აქვს, მომავალი არტისტია. ამიტომ მიანდო დრამატული წრის ხელმძღვანელმა ასეთი ძნელი და საპატიო როლი — პატარა ვალოდია ულიანოვის როლი პიესაში — „ოჯახი“. მაგრამ გენერალური რეპეტიციის წინ გაიგეს, რომ სმირნოვს ორიანი მიეღია სკოლაში. მოწაფისათვის, რომელმაც ორიანი მიიღო, ვალოდია ულიანოვის როლის შესრულება დრამატული წრის ხელმძღვანელმა შეუსაბამოდ ჩასთვალა და ამიტომ სმირნოვი „მოხსნა სპექტაკლიდან“, როგორც დიდ თეატრებში ამბობენ ხოლმე.

ასეთი დისციპლინის ატმოსფეროში, ასეთი მზრუნველობით გარემოცულნი იზრდებიან პიონერები სასახლის კაბინეტებში. მათი რიცხვი ახლა 7.000-ს აღწევს და ვინ იცის მათ შორის რამდენია მომავალი მეცნიერი, კომპოზიტორი, ინჟინერი.

## სამშობლოს-მცოდნეობა

**რომელი კუთხე, რომელი ხეობა და ველია საქართველოში, სადაც ფეხი არ დაუდგამს თბილისელ პიონერებს. ნორჩი ალპინისტები, გეოგრაფები, ნატურალისტები, ფოლკლორისტები ზაფხულის მცხუნვარე დღეებში ყვავილებივით მოედებიან ჩვენი რესპუბლიკის მთებსა და ველებს. სად არ ყოფილან ნორჩი გეოლოგები და გეოგრაფები. მათ დაწვრილებით შეისწავლეს ალაზნისა და იორის ხეობა, სოღანლუღის რაიონი, თბილის-შატილის მარშრუტი, ლოპოტის მარმარილოს საბადოები, თბილისის მიდამოების ვულკანური ადგილები. მოაგროვეს საქართველოში გავრცელებული მინერალები, ისწავლეს კრისტალების ხელოვნურად მიღება, მოაწყეს შეხვედრა სართიჭალასა და დიღმის მტს-თა მუშაკებთან. ნორჩმა ნატურალისტებმა შეისწავლეს ქალაქ თბილისის მიდამოების ფლორა, ზამთრის დღეებში მოაწყეს ოთახის ყვავილთა კონკურსი: სასახლის დერეფნები და კიბეები ათასფერი ყვავილებით მორთეს. შეისწავლეს თაფლისმომცემი მცენარეები, სკიდან სამი კილომეტრის რადიუსით. სკა კი მათ შუშაში აქვთ მოთავსებული და შუშის მილითვე უკავშირდება ფანჯარას. ასე რომ პიონერები უფრო ადვილად ეცნობიან ფუტკრების საქმიანობას.**

**ნორჩი ნატურალისტები ცდილობენ გამოიყენონ ბუნების დიდი გარდამქმნელის მიჩურინის მოძღვრება. უამრავ ცდებს ატარებენ ცხოველებზე და მცენარეებზე. ნორჩმა ნატურალისტმა ნ. თოდუამ გამოსცა ბროშურა: „ცოცხალი კუთხე სკოლაში“, გამოსაცემად გამზადებულია დარვინიზმის წრის მეორე წევრის ნ. ნემსაძის ბროშურა: „ოთახის მცენარეები და მათი ვეგეტატური გამრავლება“. ნორჩმა ნატურალისტებმა დასავლეთ საქართველოდან ჩამოიტანეს ჩაის ბუჩქები და სასახლის პარკში ახარეს, მათ იმოგზაურეს ფშავ-ხევსურეთში, შეაგროვეს 500 სხვადასხვა სახის მცენარე და ნაწილი სკოლებს გადასცეს. შეაგროვეს სამი ტონა სამკურნალო მცენარეები და მთავარ საფთიაქო სამმართველოს ჩააბარეს. ესტუმრნენ ქსენია ბახტაძესა და არჩილ ნატროშვილს, რომელთაგან კარგად შეითვისეს დარიგება: „რომ საბჭოთა ადამიანმა არ უნდა უცადოს ბუნების წყალობას“.**

**ნორჩმა ისტორიკოსებმა შეისწავლეს თბილისის მოედნები, თბილისის ისტორიული ძეგლები, რევოლუციური ადგილები, ქალაქ გორის ისტორია, ზეიმით აღნიშნეს სევასტოპოლის 100 წლისთავი. შეისწავლეს გმირ ქალაქთა წარსული და აწმყო.**

**ლიტერატურული კაბინეტის წრის წევრები სწავლობენ დიდი ქართველი და რუსი მწერლების: ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, პუშკინის, ლერმონტოვის, გრიბოედოვის, გორკისა და მაიაკოვსკის შემოქმედებასა და მოღვაწეობას, ეცნობიან ამ მწერალთა ცხოვრებას საქართველოში, ექსკურსიებს აწყობენ ქუთაისში, ბაღდადში, გორში, გრიბოედოვის საფლავთან. მიწერ-მოწერა აქვთ საბჭოთა მწერლებთან: ნ. ტიხონოვთან, ა. მეჟიროვთან, ვ. პანოვასთან, ან. ჩეხოვისა და ვლ. მაიაკოვსკის დებთან, ნ. ოსტროვსკის მეუღლესთან. ყოველ წელს შეხვედრებს უწყობენ ქართველ საბავშვო მწერლებს, სწავლობენ მათ ბიოგრაფიებს.**

**სასარგებლო მუშაობას ეწევიან ნორჩი ფოლკლორისტებიც. ისინი ამაყობენ, რომ მათი ჯერ კიდევ მცირე არქივით უკვე სარგებლობენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერ-მუშაკები, და რომ აკადემიის ლიტერატურული ინსტიტუტის კრებულში მოთავსებულია მათ მიერ შეგროვებული მასალები მთიან ხევსურეთზე.**

**თბილისელ პიონერებს არასოდეს არ დაავიწყდებათ უკრაინაში გამგზავ-**

სკას შუშის კედლები აქვს, ფუტკრები ყურადღებას არ აქცევენ ცნობისმოყვარე „ბიოლოგებს“, უშფოთველად განაგრძობენ თავიანთ მუშაობას სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე ნანული ნემსაძე გამოსაცემად ამზადებს ბროშურას: „ოთახის მცენარეები და მათი ვეგეტატური გამრავლება“. გეოგრაფია-გეოლოგიის წრის წევრები კი მომავალ ექსკურსიის მარშრუტს ადგენენ.



პიონერთა სასახლის სიმფონიური ორკესტრის მორიგი რეპეტიცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერთა სასახლის თოჯინების თეატრს 1948 წელს ესტუმრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე სერგეი ობრაზცოვი. ამ ფოტოს სიყვარულით ინახავენ ნორჩი მსახიობები.

რება. იქ, დავით გურამიშვილის საფლავთან, ისინი შეხვდნენ უკრაინელ პიონერებს. კაბინეტში ინახება ქალაქ მირგოროდის დ. გურამიშვილის სახელობის სკოლის მოსწავლეთა წერილი:

„თქვენთან შეხვედრის დღე, ორი დიდი ხალხის — ქართველი და უკრაინელი ხალხის — დიადი მეგობრობის დღე იყო“, სწერენ ისინი. თბილისელ პიონერებს არასოდეს დაავიწყდებათ ვოლგა-დონის არხით მოგზაურობა მოსკოვამდე.

თბილისელი პიონერები გულდასმითა და სიყვარულით სწავლობენ დიდი ბელადების ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბავშვობის წლებს, მათ რევოლუციურ მოღვაწეობას. ექსკურსიებს აწყობენ ი. ბ. სტალინის სამშობლო ქალაქში, ჭიათურაში, ბათუმში.

და ყველაფერ ამას, პიონერები სამშობლოსმცოდნეობას უწოდებენ.

## ᲓᲐᲣᲕᲘᲬᲧᲐᲠᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ

როდესაც ნორჩი ტექნიკოსი რადიოლოკატორის მოდელს აკეთებს, მან იცის, რომ ასეთი აპარატები სამშობლოს საზღვრების დაცვას ემსახურება; როდესაც ნორჩი ფიზიკოსი ბროშურას კითხულობს ატომური ენერგიის შესახებ, მან იცის, რომ ეს ენერგია ქვეყნის მშვიდობიან აღმშენებლობას მოხმარდება. მას კარგად ესმის, თუ რატომ უნდა აიკრძალოს ატომური იარაღის გამოყენება. პიონერები ოცნებობენ, რომ მოგზაურობაში ნაპოვნი მინერალი, საკუთარი ხელით გაკეთებული გემის მოდელი, საკუთარი ლექსის სტრიქონები

რეპეტიციაზე ძიიჩქარიან მუსიკოსები: ერთი კოხსერვატორიის დიდ დარბაზში, მეორე — პიონერთა სასახლეში.

გამოადგეს სამშობლოს, საბჭოთა ხალხს. პიონერებმა კარგად იციან, რას ნიშნავს ომი და რას ნიშნავს მშვიდობა. ამიტომ ისინი ყოველთვის სიხარულითა და აღფრთოვანებით ხვდებიან ჩვენს სასახლეში მოსულ სტუმრებს: მსოფლიოს პროგრესულ ადამიანებს, მშვიდობის დაცვის გამოჩენილ მოღვაწეებს.

თავის მხრივ, სტუმრები გაოცებულნი რჩებიან თბილისის პიონერთა სასახლით, პიონერთა მრავალმხრივი განვითარებით, იმ არაჩვეულებრივი პირობებით, რომლებიც მათ საბჭოთა ხელისუფლებამ შეუქმნა.

აი, რას წერდა ავსტრიის დელეგაციის წევრი დავით მური „სოვეტსკაია კულტურას“ 1953 წლის 3 ნოემბრის ნომერში: „შეიძლება ყველაზე საინტერესო, რაც ჩვენ სსრკ-ში ვნახეთ, თბილისის პიონერთა სასახლე იყოს. ეს იყო რაღაც ზღაპრული. კეთილმა ფერიამ უთხრა ბავშვებს: „რაც გინდათ, ყველაფერი ისურვეთ“, დაიქნია ხელი და ოცნება სინამდვილედ აქცია. ამ შემთხვევაში კეთილი ფერია საბჭოთა ხელისუფლებაა, რომელიც დიდად ზრუნავს ბავშვებზე. ჩვენს ქვეყანაში არაფერია იმის მსგავსი, რომ პიონერთა სასახლესთან შედარება შეიძლებოდეს...“

ასევე ფიქრობდა რაიმონდა დიენი, გმირი ფრანგი ქალი, როდესაც თბილისელი პიონერების ფრანგულ ლაპარაკს უსმენდა, ასეთივე აღფრთოვანებული დაემშვიდობა სახელოვანი კორეელი ხალხის შვილი პაკ-დენ-აი ჩვენს პიონერებს. ნაზიმ ჰიქმეთმა ლიტერატურული კაბინეტის წევრებს თავისი წიგნის ქართული გამოცემა უსახსოვრა, ვრცელი წარწერით. სასახლის ერთ კედელზე გაკრულია მაო ძე-დუნის პორტრეტი, რომელიც თბილისელმა პიონერებმა საჩუქრად მიიღეს ჩინეთის ახალგაზრდობის დელეგაციისაგან.

ლიტერატურულ კაბინეტში გამოშვებულია თავისებური კედლის გაზეთი, რომელშიც წერილების ადგილი ინდოეთის დელეგაციის წევრების ავტოგრაფებსა და შთაბეჭდილებებს უჭირავს. სასახლის ბიბლიოთეკაში კი ინახება ნამდვილი გაზეთი, რომელშიც თანამედროვე პროგრესული ინგლისელი მწერლის ჯეკ ლინდსეის შთაბეჭდილებებია გამოქვეყნებული: „... არ არსებობს ქვეყნად იმაზე უფრო დიდი მამოძრავებელი ძალა, როგორც სიყვარული მშვიდობისა და შემოქმედებითი შრომისადმი; ეს სიყვარული იგრძნობა საბჭოთა ქვეყანაში ყოველ ნაბიჯზე. ეს მე კიდევ ერთხელ ვიგრძენი ქართველ პიონერებთან შეხვედრისას, პიონერთა სასახლეში. ჩემი უდიდესი აღფრთოვანება გამოიწვია იმ ამბავმა, რომ ქართველი ახალგაზრდები დიდი სიყვარულით ახსენებდნენ შექსპირისა და ბაირონის, შელისა და დიკენსის სახელებს! რა კარგად ლაპარაკობდნენ ქართველი ბავშვები ინგლისურ ენაზე“...

თოჯინების თეატრის ნორჩ მსახიობებს არასოდეს დაავიწყდებათ გამოჩენილ მსახიობთან სერგეი ობრაზცოვთან შეხვედრა, ნორჩ ლიტერატორებს — ნიკოლოზ ტიხონოვთან საუბარი. მაგრამ ჩვენს პიონერებს უცნობი მეგობრებიც ჰყავთ, რომლებიც არასოდეს ყოფილან აქ. ნორჩი ისტორიკოსები სათუთად ინახავენ განსვენებულ აკადემიკოს ტარლეს წერილს: „თქვენ ცვლა ხართ იმ მეცნიერებისა, რომლებიც უკვე სიცოცხლის დასასრულს ვუახლოვდებით“.

კიდევ მრავალი და მრავალი დელეგაცია ესტუმრება თბილისელ პიონერებს, უცხოეთის მრავალი გამოჩენილი ადამიანი გაეცნობა სასახლის ცხოვრებას, იმიტომ რომ მათ სურთ გაიგონ, როგორ ეყრება საფუძველი სოციალისტური ქვეყნის ახალ ადამიანთა გმირულ ჩვევებს, ნებისყოფას, სამშობლოს სიყვარულს.

აი, ის თავისებური კედლის გაზეთი, რომელშიც წერილების ადგილი ინდოეთის დელეგაციის წევრების ავტოგრაფებსა და შთაბეჭდილებებს უჭირავს.



**დ. ქუთათელაძე.** — **რუსთავი** (ავტოლითოგრაფია)
საქ. სსრ ხელოვნების
დამსახურებული მოღვაწე



**ე. ანდრონიკაშვილი.**—**ზესტაფონის ფერომარგანეცის ქარხანა**
(ნახატი, აკვარელი)



**ვ. კეშელავა.**—
**ტყვარჩელის საბაგირო**
**გზა** (ავტოლითოგრაფია)

ძ. თ ა ო ი შ ვ ი ლ ი. — დიდუბის ხიდის მშენებლობაზე (ზეთი)

ნ. ფ ა ლ ა ვ ა ნ დ ი შ ვ ი ლ ი. — მრავალბინიანი სახლის მშენებლობა სანაპიროზე (აკვარელი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ. გ ო რ გ ა ძ ე. — ბათუმის ნავსადგურში (ზეთი)

ვ. ს ე ვ ე რ ო ვ ი. — მიწის დამუშავება მალცევის მეთოდით (აკვარელი)

თ. ნაცვლიშვილი. — მჭედელი
(ტონირებული თაბაშირი)

**ქართულ** სახვით ხელოვნებაში უკანასკნელი წლების მანძილზე ფართოდ დამკვიდრდა სოციალისტური მშენებლობის თემა.

ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ინდუსტრიალურმა გარდაქმნამ, მრეწველობის სრულიად ახალი დარგების წარმოშობა - განვითარებამ, ახალი შემოქმედებითი შესაძლებლობანი გადაშალეს ჩვენი მხატვრების წინაშე.

ფეროშენადნობთა ქარხნისა და რუსთაველის მეტალურგიული კომბინატის, ხრამჰესის თუ ორთაჭალჰესის მშენებლობათა მხატვრული ასახვა, ჩვენი ხელოვნების ბუნებრივ მოთხოვნილებად გადაიქცა.

ქართულ ტრადიციულ ლირიკულ პეიზაჟში თანდათან იჭრება მანამდე უცნობი, ახალი მოტივები. ისინი მხატვრულად განაზოგადებენ გარემოსადმი ადამიანთა იმ ახლებურ დამოკიდებულებას, რომელიც ახალმა საწარმოო ურთიერთობამ და მძლავრმა საბჭოთა ტექნიკამ დაამკვიდრა ჩვენში.

ინდუსტრიული პეიზაჟის ჟანრმა თავისებური გზა განვლო შრომის აბსტრაქტული ჩვენებიდან და საკოლმეურნეო მინდვრებში პირველად გამოჩენილი მანქანებით მიღებულ შთაბეჭდილებათა პრიმიტულ გადმოცემიდან, ტიპიურ ინდუსტრიულ გარემოს წარმოსახვამდე.

ეს პეიზაჟები, რომლებიც ძირითადად სააღმშენებლო ობიექტის გაშლილ პანორამებს წარმოადგენენ, მხატვრული ფორმის თავისებური დამუშავებით ხასიათდებიან, რაც, უპირველეს ყოვლისა, ამა თუ იმ გარემოს შესაძლო სიზუსტით გადმოცემაში გამოიხატება.

ახალი ხიდის მშენებლობა იქნება ეს, თუ ჯერ ისევ ხარაჩოებში ჩასმული მრავალბინიანი სახლის კორპუსები, შავი ზღვისპირა ნავსადგური თუ ტყვარჩელის საჰაერო-საბაგირო გზა — ამ პეიზაჟების კომპოზიციურ გადაწყვეტაში მუდამ შეიმჩნევა ერთგვარი სიმშვიდე, შეიმჩნევა სხვადასხვა პლანების ერთნაირი ძალით გადმოცემა, რაც მათ რამდენადმე აღწერით, ილუსტრაციულ ელფერს აძლევს.

ამ პეიზაჟებში ინდუსტრიული გარემო ისე მძაფრადაა დახასიათებული, მშენებლობის რიტმი ისე ბუნებრივადაა მოძებნილი, რომ მათ ეპოქის ამსახველი დოკუმენტალური ტილოების ძალა ენიჭებათ. ეს პეიზაჟები საუკეთესო ფონი იქნებოდა შრომის პროცესში ჩაბმულ ადამიანთა საქმეებისა და ფიქრების გადმოსაცემად, იმ ადამიანთა ყოველდღიური ცხოვრების გადმოსაცემად, რომელთა მხატვრული ჩვენება ქართულ სახვით ხელოვნებაში ჯერ ისევ პორტრეტული ჟანრით იფარგლება.

მ. ხარაული. — ქალიშვილის პორტრეტი (თაბაშირი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი. ოჩიაური. — დოლი (ბარელიეფი ხეზე)



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნ. ნეკრასოვი

* * *

თივის მოედანს ვავლებდი თვალსა.
საღამოს ექვსი თუ იქნებოდა.
იქ სცემდნენ გლეხის ერთ ყმაწვილ ქალსა, —
შოლტი ჰაერში იკლაკნებოდა.

წიოდა შოლტი. არც ერთი კვნესა...
ის ადგილიდან ფეხს არ იცვლიდა...
მე ვუთხარ მუზას: „იცოდე, დღეს აქ
შენ დაინახე შენი ღვიძლი და!“

* * *

ჩემო ლექსებო! თქვენ ემოწმებით
ხალხისთვის დაღვრილ ცრემლებს ულევსა!
წარმოშობილნო ცხოველ ოცნებით,
წუთებს შეერწყმით აღგზნებულებაა
და, ვით ზვირთები კლდეზე მოქცევით,
ზედ ეხეთქებით კაცთა გულებსა.

## ლერმა

უგროვდებოდა გულში დედას წვეთწვეთად შხამი,
და მაშინ, როცა მის წინაშე აცელქებული
მისი ვაჟები თამაშობდნენ — ყმაწვილი სამი,
იგი თავისთვის ჩურჩულებდა ჩაფიქრებული:
„საბრალოებო, რისთვისა ხართ გაჩენილები?
თქვენ დაადგებით განუხრელად სიმართლის გზასა
და ვერ აიცდენთ შავს ბედ-იღბალს, აწ თქვენთვის
მზასა!“
არ შეაშფოთო, წამებულო დედავ, შვილები,
ვიდრე სიხარულს არ არიან მოწყვეტილები!
არამედ რწმენა ჩაუნერგე მათ ნათელ სვეტად,
რომ არის ჟამი, — ზოგჯერ იგი ფრიად გრძელია, —
როდესაც ჯილდოდ ღვაწლისათვის ყველაზე მეტად
ეკლის გვირგვინი ბრწყინვალე და სანატრელია.

* * *

დიდია გულისწუხილი
თავისუფლების გარეშე.
სჯობს ატყდეს ჭექა-ქუხილი, —
გრიგალო, გაითარეშე!

დააცხარ მიწას დაღლილსა,
ზღვაში ელვები ჩაჰყარე,
თასი მსოფლიო ნაღვლისა
სულ ერთიანად დაღვარე.

თარგმანი
**კონსტანტინე ჭიჭინაძისა**

ჰაინრიხ ჰაინე

# ჩრდილოეთის ზღვა

(ციკლი მეორე)

## სალამი ზღვისადმი

თალატა! თალატა!
სალამი შენდა ზღვაო ლაღო, მარადიულო,
ათიათასჯერ გესალმები
მხიარულ გულით, —
როგორც ოდესღაც აღტაცებით გიძღვნიდნენ სალამს
ათი ათასი ბერძნის გული, ბრძოლით გზნებული,
ჭირში მებრძოლი, მშობელ მხარეს დანატრებული.
ბერძენთა გული, მსოფლიოში ყველგან განთქმული!

ბორგავდნენ ზვირთნი, მძვინვარებდნენ
და გუგუნებდნენ,
ელვის სისწრაფით მზე აფრქვევდა
ვარდისფერ სხივებს.
შორს მიფრინავდნენ შემზარავი ხრიალ-ყრანტალით
შიშით დამფრთხალი თოლიების გუნდი ფრთამალი.
სცემდნენ მერნები მაგარ ფლოქვებს და გაისმოდა
ფართა ჟღარუნი, გამარჯვების ყიჟინი მძლავრი:
თალატა! თალატა!

სალამი შენდა ზღვაო ლაღო, მარადიულო!
მე შენს შრიალში მშობლიური კილო მომესმის.
აბობოქრებულ შენს ტალღათა ღელვაში ვხედავ
ჩემი ბავშვობის მოელვარე სიზმართა ლანდებს.
და მოგონებით ჩემს წინაშე კვლავ ცოცხლდებიან
უსაყვარლესი ჩემი ყრმობის სათამაშონი,
და საშობაო საჩუქრები, ნაირ-ფერადნი,
მარგალიტები, ოქროს თევზნი და ნიჟარები,
შენ რომ ინახავ საიდუმლოდ, ო, ზღვაო ლაღო,
შენს სიღრმეებში გაბრწყინვებულ ბროლის კოშკებში.

ო, მზეუდაბურ უცხოეთში კვდებოდა გული!
იგი ჭკნებოდა მკერდში ისე, როგორც ყვავილი,
ბოტანიკოსის ბნელ თუნუქში მოთავსებული.
თითქოს ვიყავი ჩაკეტილი, მთელი ზამთარი,
საავადმყოფოს ბნელ საკანში სასომიხდილი,
და დღეს დავტოვე ეგ დილეგი მოულოდნელად,
ახლა დამნათის მომხიბვლელი შუქთა არილი,
მზისგან გზნებული ზურმუხტოვან გაზაფხულისა.
თეთრყვავილოვან ხეთა შრიალს ვისმენ საამოს,
ნორჩი ყვავილნი სიხარულით შემომცქერიან,
ჭრელი თვალებით სანეტაროს აფრქვევენ სურნელს,
ლაღი ბუნება სიხარულით სუნთქავს, გუგუნებს,
ლურჯ სივრცეებში ჩიტუნები გალობენ ტკბილად:
თალატა! თალატა!

ო, ჩემო გულო, უშიშარო ჯაუქცევაშიც!
რარიგ გტანჯავდნენ შენ ასულნი ჩრდილოეთისა,
რა ხშირად გჩხვლეტდნენ ბარბაროსულ
ულმობელობით.
ცეცხლით მგზნებარე, ძლევამოსილ დიდ თვალებიდან
ისროდნენ ისრებს, მოგიზგიზე ალით გამკვეთელს.
მემუქრებოდნენ ულმობელად მკერდის გაპობას
თავბრუდამხვევი მძაფრ სიტყვათა მრუდე მახვილით.

ბეჩავი თავი, რეტდასხმული, გაოგნებული,
გამომიჭედეს, დამამძიმეს ლურსმულ წერილით.
ამაოდ მეპყრა მათ წინაშე ჩემი ფარ-ხმალი.
მჩხვლეტდნენ ისრები, დარტყმათ ჟღერა ისმოდა
ირგვლივ,
და ჩრდილოელი ბარბაროსი ქალებისაგან
გავხდი ძლეული, განდევნილი ზღვის ნაპირისკენ,
ახლა ზღვასთან ვარ, თავისუფლად ვსუნთქავ მის
ჰაერს,
და ვესალმები საყვარელ ზღვას, მხსნელსა და
მფარველს:
თალატა! თალატა!

## ჭექა-ქუხილი

ზღვას ეუფლება შემზარავი ჭექა-ქუხილი,
შავ ღრუბელთა მთებს დაკბილული
ელვა სწვავს, კვეთავს.
სწრაფად იელვებს და სწრაფადვე ჰქრება სივრცეში,
როგორც ნაკვთები კრონიონის თავით ფრქვეული.
აბობოქრებულ წყალზე ზათქით
გრიალებს მეხი.
ლაღად დახტიან თეთრ ტალღათა მარდი მერნები,
მძლე ბორეასის თეთრი რაშნი, დაბადებულნი
ერისთეოსის მომხიბვლელი ფაშატებისგან.
დაჰფრენენ ზანტად ზღვის ფრინველნი, შიშით
დამფრთხალნი,
ვით მზარავ სტიქსზე გვამთა ლანდი, ქარონის ნავით
შორს მიმავალნი იავარად უდაბურ ღამით.
საბრალო ნავი, პაწაწინა, რა მამაცურად
წინ მიიჩქარის, მიქანაობს ბედ..თი ცეკვით.
გარს ეხვევიან ეოლოსის მარდი ჭაბუკნი,
უვლიან ფერხულს ველურ ჟინით აღტყინებულნი.
ერთი სტვენს მძიმედ, მეორე კი უბერავს მძაფრად,
მესამე თითქოს ბანს ამბობსო, ყრუდ დაჰგუგუნებს.
საჭესთან მდგომი მობარბაცე ბოცმანი შიშით
დასცქერის კომპასს —
მთრთოლვარე ხელს საბრალო გემის.
ხელებს აღაპყრობს ზეცისაკენ და ევედრება:
— ო, დამიხსენი მეომარო გმირო კასტორო,
მუშტით მებრძოლო პოლიდევკო, შენც მომეხმარე!

თარგმანი
**ხარიტონ ვარდოშვილისა**



ა. ტოლსტოიმ, როგორც ნიჭიერმა შემოქმედმა, მკითხველი საზოგადოების ყურადღება მიიპყრო ჯერ კიდევ პირველი ლექსების წიგნით, რომელიც 1907 წელს გამოვიდა, ხოლო შემდგომ წლებში გამოცემულმა მოთხრობებმა და რომანებმა მას დიდი მწერლის სახელი მოუხვეჭეს. თავის პირველივე მოთხრობებში ტოლსტოი გვევლიაება რეალისტ მწერლად, რომელიც დაუნდობლად ამხილებს თავადაზნაურობის დაცემას და გახრწნას. ამ პროზაული ნაწარმოებიდან აღსანიშნავია მოთხრობების ციკლი საერთო სათაურით „ძველი ცაცხვების ქვეშ", რომანი „ახირებული ხალხი", მოთხრობა „კოჭლი ბატონი" და სხვ.

მაგრამ მთელი თავისი შემოქმედებითი შესაძლებლობანი ა. ტოლსტოიმ გამოამჟღავნა საბჭოთა ეპოქაში. მუშათა კლასის გამარჯვებით აღფრთოვანებული მწერალი ზედიზედ აქვეყნებს შესანიშნავ რომანებს, რომლებშიაც ნაჩვენებია პირველი მსოფლიო ომის სურათები, რევოლუცია, საბჭოთა წყობილების გამარჯვება, საბჭოთა ადამიანების გმირული ბრძოლები თეთრგვარდიელებისა და ინტერვენტების წინააღმდეგ („დები", „თვრამეტი წელი", „მოღუშული დილა", „პური").

ფართო პოპულარობა მოიპოვა ა. ტოლსტოის ისტორიულმა რომანმა „პეტრე I", რომელსაც მაღალი შეფასება მისცა სოციალისტური რეალიზმის ფუძემდებელმა მაქსიმ გორკიმ.

ცალკე უნდა აღინიშნოს ა. ტოლსტოის პუბლიცისტური წერილები და ფართო მასშტაბის საზოგადოებრივი მოღვაწეობა.

საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის დღეებში ა. ტოლსტოი თავისი მგზნებარე სტატიებითა და გამოსვლებით მხარში ედგა ჩვენს სახელოვან მეომრებს და გმირული სულისკვეთებით აღაფრთოვანებდა მათ. ამავე პერიოდს ეკუთვნის ა. ტოლსტოის შესანიშნავი მოთხრობები, რომლებშიაც ნაჩვენებია რუსი ადამიანების გმირული სული და უდიდესი პატრიოტიზმი. ამ დიდი ოსტატობით დაწერილ მოთხრობებში აშკარად იგრძნობა, რომ ვერავითარი ძალა ვერ გასტეხს ხალხს, რომელიც სიმართლისა და თავისუფლებისათვის იბრძვის.

ვერაგ მტერზე საბოლოო გამარჯვებას ალექსეი ტოლსტოი ვერ მოესწრო. იგი გარდაცვალა 1945 წლის 23 თებერვალს, როდესაც ჩვენი სახელოვანი არმია ზედიზედ ამარცხებდა ჰიტლერის ფაშისტურ ურდოებს.

ქვემოთ ვაქვეყნებთ ა. ტოლსტოის მოთხრობას, რომელიც სამამულო ომის გმირულ დღეებშია დაწერილი.




მხატვრები: **გ. გულისაშვილი,**
**ვ. ტოროტაძე.**

**ა. ტოლსტოი**

## მოთხრობა

**რუსული ხასიათი!** — პატარა მოთხრობისათვის მეტად გაზვიადებული სათაურია, მაგრამ რას იზამ, — თუკი სწორედ რუსულ ხასიათზე მინდა გელაპარაკოთ.

**რუსული ხასიათი!** მოდი და აღწერე იგი... იქნებ საგმირო საქმეებზე მოგითხროთ? მაგრამ ის იმდენია რომ თავგზა აგებნევა. არ იცი რომელი რომელს ამჯობინო. და აი ერთმა ჩემმა მეგობარმა მიხსნა თავისი პატარა ისტორიით პირადი ცხოვრებიდან. როგორ ებრძოდა იგი გერმანელებს — არ მოგიყვებით, თუმცა, ოქროს ვარსკვლავს ატარებს და მკერდის ნახევარი ორდენებით აქვს დაფარული. უბრალო ადამიანია, წყნარი, ჩვეულებრივი, — ვოლგისპირა სოფლის კოლმეურნეა სარატოვის ოლქიდან, მაგრამ ყველასაგან გამოირჩევა თავისი ბრგე, ახოვანი აღნაგობით და სილამაზით. თვალს ვერ მოსწყვეტდი, როდესაც იგი ტანკის კოშკურიდან ამოძვრებოდა, — ჭეშმარიტად ომის ღმერთი იყო! ჯავშნიდან მიწაზე გადმოხტებოდა, ოდნავ სველი ხვეული თმიდან მუზარადს გადიძრობდა, ძენძით მოიწმენდდა გათხუპნილ სახეს და უსათუოდ გულწრფელად გაიღიმებდა.

ომის დროს მუდამ სიკვდილის საფრთხეში მყოფი ადამიანები უკეთესნი ხდებიან. ყოველგვარი სიხულელე. მზისაგან დამწვარი კანივით სცილდება და ადამიანში რჩება მხოლოდ ის, რაც ხალასია. რა თქმა უნდა ზოგნი უფრო მეტად ხალასნი არიან, ზოგი ნაკლებ, მაგრამ ისინი, ვისაც მეტი ნაკლოვანებები გააჩნია, ცდილობენ უკეთესნი გახდნენ, თვითეულს სურს იყოს კარგი და ერთგული ამხანაგი. ჩემი მეგობარი, იგორ დრიომოვი კი, ომამდეც წესიერი ადამიანი იყო, დიდ პატივს სცემდა და უყვარდა დედა — მარია პოლიკარპოვნა და მამა — იგორ იგორიჩი. „მამაჩემი დარბაისელი კაცია. რაც მთავარია, თავის თავს სცემს პატივს. შენაო, ჩემო შვილო, — მეტყოდა ხოლმე — ბევრს რასმე ნახავ ქვეყნად, საზღვარგარეთაც მოხვდები, მაგრამ გახსოვდეს, რომ რუსი ხარ და თავი ამაყად დეჭიროს..."

საცოლეც ჰყავდა იმავე ვოლგისპირა სოფლიდან. ცოლებსა და საცოლეებზე ჩვენთან ბევრს ლაპარაკობენ, განსაკუთრებით მაშინ, როცა ფრონტზე სიწყნარეა, ყინავს, მიწურში ჭრაქი ხრჩოლავს, ღუმელი გუგუნებს. უკვე უვახშმიათ. ზოგჯერ ისეთს რასმე დაახეთქებენ, რომ სახტად დარჩები. წამოიწყებენ, მაგალითად: „რა არის სიყვარული?" ერთი იტყვის: „სიყვარული პატივისცემის ნიადაგზე აღმოცენდება". — არაფერიც,— ამბობს მეორე, —სიყვარული, ეს შეჩვევაა, ადამიანს მარტო ცოლი როდი უყვარს, უყვარს დედ-მამა, ცხოველებიც კი"... „ფუი, ჩერჩეტო! — ჩაურთავს მესამე. — იცი რა არის სიყვარული? — როცა შენში ყველაფერი დუღს, ადამიანი მთვრალივით დაბორიალობს". და ასე ფილოსოფოსებენ ერთ საათს, ორ საათს, სანამ საუბარში ზემდეგი არ ჩაერევა და ბრძანებლური ხმით არ გადასჭრის საკითხის ნამდვილ არსს. იგორ დრიომოვს, ალბათ, ერიდებოდა ასეთი საუბრებისა და თავისი საცოლე მხოლოდ გაკვრით ახსენა ჩემთან — ძალიან კარგი ქალიშვილია, და რაკი თქვა, დაგელოდებიო, — დამელოდება, თუნდ ცალფეხა დავბრუნდე შინ.

არც საბრძოლო წარმატებებზე უყვარდა ბევრი ლაპარაკი. „ასეთი ამბების გახსენება არ მიყვარს!" — მოიღუშება და თუთუნს გააბოლებს. მისი ტანკის საბრძოლო თავგადასავალს მხოლოდ ეკიპაჟის ნაამბობიდან ვგებულობდით, განსაკუთრებით მძღოლი ჩუვილიოვი ანცვიფრებდა მსმენელებს.

—... ის იყო გავიშალენით, ვხედავ, ბორცვიდან ამოცოცდა... ვყვირი: „ამხანაგო ლეიტენანტო, ვეფხვი!" „წინ, მთელი სისწრაფით!" შესძახებს იგი. მეც ნაძვებს ვეფარები, ვინიღბები. — მარჯვნივ... მარცხნივ... ვეფხვი ბრმასავით ატრიალებს ლულას. ისროლა,—ამცდა... ამხანაგმა ლეიტენანტმა კი ერთი ისეთი დაახალა გვერდში—ზანზარი დაწყებინა. ერთიც კოშკურას სთხლიშა — ხორთუმი ააშვერინა... მესამეც ხეთქა და ვეფხვის ყველა ხვრელიდან კვამლმა ამოხეთქა. ისეთი ალი ავარდა, ას მეტრზე ადიოდა ბოლი. ეკიპაჟმა სათადარიგო ლუკიდან იწყო ამოძრომა. ვანკა ლაპშინი კი ტყვიაფრქვევითა ცხრილავდა. ისინი კი, მიწაზე განრთხმული, საცოდავად აფართხალებენ ფეხებს... ჩვენთვის გზა გახსნილია, გაიგე? ხუთ წუთში სოფელში გავჩნდით. აქ მუცელზე კანი აღარ შემრჩა... ფაშისტები გარბიან, ვინ საით... გარეთ კი, ტალახია, გესმის, ვილაც ფეხშიშველი, წინდების ამარა გამოხტა. ყველანი ფარდულისაკენ გარბიან. ამხანაგი ლეიტენანტი ბრძანებას მაძლევს: „აბა — ფარდულისაკენ". ქვემეხი მოვბარუნეთ და მთელი სისწრაფით გავეშურე ფარდულისაკენ... ბიჭო, რა ამბავი ატყდა! ჯავშანზე აგრაუხუნდნენ კოჭები, ფიცრები, აგურები და ფაშისტები, აი, სახურავქვეშ რომ შემძვრალიყვნენ... მეც ლავაშივით გავბრტყელე ისინი, სხვებმა ხელები ასწიეს, — და კაპუტ ჰიტლერ...

ასე ი'რძოდა ლეიტენანტი იგორ დრიომოვი, სანამ უბედურება არ შეემთხვა. კურსკთან ბრძოლების დროს, როდესაც გერმანელები სისხლისაგან დაიცალნენ და გატყდნენ, მისი ტანკი პურის ყანაში გორაკზე ჭურვმა დააზიანა: ეკიპაჟიდან ორი იქავე მოკვდა. მეორე ჭურვისაგან ტანკს ცეცხლი გაუჩნდა. მძღოლი ჩუვილიოვი, რომელიც წინა ლუკიდან გადმოხტა, კვლავ ჯავშანზე აძვრა და ლეიტენანტის ამოყვანა მოასწრო — იგი უგონოდ იყო, კომბინიზონზე ცეცხლი მოჰკიდებოდა. ის იყო ჩუვილიოვმა ლეიტენანტი გვერდზე გადაათრია, რომ ტანკმა ისეთი ძალით იფეთქა, კოშკურა ორმოცდაათ მეტრზე გადააგდო. ცეცხლი რომ ჩაექრო, ჩუვილიოვი ფხვიერ მიწას აყრიდა ლეიტენანტს სახეზე, თავზე, ტანსაცმელზე. მერე ყუმბარებით მოთხრილი ორმოები ფორთხვით გადაიარა და ასე მიიტანა შესახვევ პუნქტამდე... „იცი რატომ ვათრიე? — ყვებოდა ჩუვილიოვი შემდეგ — მესმოდა, როგორ უცემდა გული"...

იგორ დრიომოვი გადარჩა და არც მხედველობა დაუკარგავს, თუმცა სახე ისე დასწვოდა, რომ ალაგალაგ ძვლები მოუჩანდა. რვა თვეს ჰოსპიტალში იწვა, ზედიზედ უკეთებდნენ პლასტიკურ ოპერაციებს, აღუდგინეს ცხვირი, ტუჩები, ქუთუთოები, ყურები, რვა თვის შემდეგ, როდესაც ნახვევები მოხსნეს, მან შეხედა თავის, და ახლა არცთუ სავსებით თავის სახეს. ექთანი, რომელმაც მას პატარა სარკე მიაწოდა, გვერდზე მიბრუნდა და აქვითინდა. დრიომოვმა იმწამსვე დაუბრუნა სარკე.

— უარესიც ხდება, — თქვა მან, — ამით ცხოვრება კიდევ შეიძლება.

მაგრამ ამის შემდეგ აღარასოდეს მოუთხოვია ექთანისათვის სარკე. ეს კია რომ სახეზე ხშირად ივლებდა ხელს, თითქოს უნდოდა შესჩვეოდა. კომისიამ იგი მწყობრგარეშე სამსახურისათვის სცნო ვარგისად. დრიომოვი გენერალთან მივიდა და უთხრა: „გთხოვთ ნება დამრთოთ პოლკში დავბრუნდე".

„მაგრამ თქვენ ხომ ინვალიდი ხართ“,— მიუგო გენერალმა. „სრულიადაც არა, მე მახინჯი ვარ, მაგრამ, ეს საქმეს ხელს არ შეუშლის ბრძოლის უნარიანობას მთლიანად აღვიგენ“. (ლაპარაკის დროს გენერალი ცდილობდა არ შეეხედა მისთვის, იგორ დრიომოვმა შენიშნა ეს და მხოლოდ ჩაიცინა ლილისფერი, ნაპრალივით გაპობილი, თხელი ტუჩებით). ჯანმრთელობის აღსადგენად მას ოცდღიანი შვებულება მისცეს და იგი შინ, დედ-მამასთან გაემგზავრა. ეს მოხდა სწორედ ამ წლის მარტში. უნდოდა სადგურზე ფორანი დაექირავებინა, მაგრამ ფეხით მოუხდა თვრამეტი ვერსის გავლა. ირგვლივ ჯერ კიდევ თოვლი იდო. ნესტი იდგა, კაცის ჭაჭანება არ იყო. ცივი ქარი ფარაჯის კალთებს უფრიალებდა და გაბმული კვნესით უწიოდა ყურებში. სოფელში რომ შევიდა ბინდი იყო. აგერ ჭა, მაღალი ოწინარი ქანაობდა და ჭრაჭა-ჭრუჭი გაუდიოდა. აქედან მეექვსე ქოხი მშობლებისაა. ჯიბეებში ხელებჩაწყობილი ანაზდად შედგა, თავი გააქნია. სახლს გვერდიდან მოუარა. მუხლებამდე თოვლი გაარღვია, ფანჯარასთან დაიხარა და დედა დაინახა, — რომელიც ლამპის მკრთალ შუქზე მაგიდაზე ვახშამს აწყობდა. იგივე თალხი თავსაფარი, მშვიდი, აუჩქარებელი, კეთილი. მოტეხილა, გამხდარი მხრები ამოყრია... „ოჰ, რომ მცოდნოდა ყოველდღე ორიოდე სიტყვით მაინც ვაცნობდი ჩემს ამბავს“ — ...სუფრაზე დაელაგებინა რაც მოეძებნებოდა. ჯამი რძით, პური, ორი კოვზი, სამარილე და, ფიქრში წასული მაგიდის წინ გულხელდაკრეფილი შეჩერებულიყო... იგორ დრიომოვი მიხვდა, რომ არ შეიძლებოდა მისი შეშინება. არ შეიძლებოდა, რომ მას მოხუცი დედის დამჭკნარი სახე სასოწარკვეთილებით აეთრთოლებინა.

რა გაეწყობა! ასე იყოს! ჭიშკარი გამოაღო, ეზოში შევიდა და კარზე დააკაკუნა. დედა გამოეხმაურა: „ვინ არის?“ „საბჭოთა კავშირის გმირი ლეიტენანტი გრომოვი“ — უპასუხა მან.

გული ისე აუჩქროლდა, რომ მხრით კარნაგელს მიეყრდნო. არა, დედამ ხმაზე ვერ იცნო. მასაც კი თითქოს, პირველად მოესმა ოპერაციების შემდეგ შეცვლილი ხრინწიანი, ყრუ, გაურკვეველი ხმა.

— მერედა რისთვის მოსულხარ, შვილო? — იკითხა დედამ

— მარია პოლიკარპოვნას მისი ვაჟის, უფროს ლეიტენანტ დრიომოვის მოკითხვა ჩამოვუტანე.

დედამ კარი გამოაღო, დრიომოვს მივარდა, ხელში სწვდა.

— ცოცხალია ჩემი იგორი? კარგადაა? შინ მაინც შემოდი, შვილო!

იგორი დრიომოვი მერხზე ჩამოჯდა, მაგიდასთან, სწორედ იმ ადგილას, სადაც ჯერ კიდევ მაშინ ჯდებოდა, როცა მიწამდე ვერც კი უწვდენდა ფეხს. დედა ხუჭუჭ თმაზე გადაუსვამდა ხელს და ეტყოდა ხოლმე: „ჭამე, გვრიტო, ჭამე“. დრიომოვმა დაწვრილებით მოუთხრო მისი შვილის—თავისივე თავის ამ ავი — რასა ჭამს, რასა სვამს, არაფერი აკლია, მუდამ ჯანმრთელი და მხიარულია. საბრძოლო საქმეებზე კი, — თუ სად მონაწილეობდა თავისი ტანკით, მოკლედ უამბო.

— ერთი ეს მითხარი — ხომ საშიშია ომში? — აწუვეტინებდა დედა, რომელიც სახეში მიშტერებოდა შვილს ჩაღამებული თვალებით.

— რა თქმა უნდა, დედი, მაგრამ ეჩვევა კაცი.

მოვიდა მამა, იგორ იგოროვიჩი, წელთა სიმრავლეს ისიც მოეტეხა, თითქოს ფქვილი შეუფრქვევიათო წვერზე. გაცვეთილი ბაგეები პარმაღზე აბაკუნა და სტუმარი შეათვალიერა. აუჩქარებლად მოიხსნა ხელსახვევი, ქურთუკი გაიხადა, მაგიდას მიუახლოვდა და სტუმარს ხელი ჩამოართვა, — ო, რა ნაცნობი იყო, მშობლის სამართლიანი, ფართო ხელი! არა უკითხავს რა, რადგან ისედაც ნათელი იყო, რისთვის იჯდა ორდენებით მკერდდამშვენებული სტუმარი. ისიც ჩამოჯდა და, თვალებმოჭუტულმა, ყური მიუგდო.

რაც უფრო დიდხანს იჯდა შეუცნობელი დრიომოვი და ყვებოდა თავის და არცთუ თავის ამბებს, მით უფრო შეუძლებელი ხდებოდა წამომდგარიყო და ეთქვა: „მიცანით ბარემ, თქვენი მახინჯი შვილი, დედავ და მამავ!“... იგი კარგადაც გრძნობდა თავს მშობლების ჭერქვეშ და გულიც სტკიოდა.

— ვივახშმოთ, დედა, მოართვი სტუმარს რამე! — იგორ იგორიჩმა გამოაღო ძველი კარადა, სადაც ასანთის კოლოფში ჩაწყობილი თევზის საკერი ანკესები ძველებურად ისევ მარცხნივ კუთხეში ელაგა, იქვე იდგა ტუჩმოტეხილი ჩაიდანიც და პურის ნამცეცებისა და ხახვის ნაქურჩალის სუნი ტრიალებდა. იგორ იგოროვიჩმა ბოთლით ღვინო გამოიღო,—სულ ორი ჭიქა გამოვიდოდა და ამოიოხრა, რადგან მეტი არ ჰქონდა. ვახშმად დასხდნენ, როგორც ძველად სხდებოდნენ ხოლმე. მხოლოდ ვახშმობისას უფროსმა ლეიტენანტმა დრიომოვმა შენიშნა, რომ დედა განსაკუთრებული ყურადღებით ადევნებდა თვალს მის ხელს, რომელშიაც კოვზი ეჭირა. მან ჩაიცინა, დედამ თვალები ასწია და სახე აუთრთოლდა.

ილაპარაკეს ამ მთისა, იმ მთისა. იმაზე თუ როგორი გაზაფხული იქნებოდა, მოასწრებს თუ არა ხალხი თესვას, და კიდევ იმაზე, რომ ამ ზაფხულს ომი დამთავრდება.

— საიდან იცით, იგორ იგოროვიჩ, რომ ამ ზაფხულს დამთავრდება ომი?

— ხალხი აღშფოთდა — მიუგო იგორ იგოროვიჩმა, — სიკვდილს სძღიეს, ახლა მათ ველარაფერი შეაჩერებს, კაუტ გერმანელს.

— თქვენ არ გითქვამთ, როდის მისცემენ იგორს შვებულებას, როდის გვეწვევა. — შეეკითხა მარია პოლიკარპოვნა, — სამი წელია არ გვინახავს, ალბათ, დავაუკაცდა, ულვაშები დაიყენა... ისედაც მუდამ დღე სიკვდილის საფრთხის ქვეშ... ალბათ ხმაც გაუბოხდა?

— აი, ჩამოვა და შეიძლება ვერც იცნოთ, — თქვა ლეიტენანტმა.

ღუმელზე დაუგეს, სადაც თვითეული აგური ნაცნობი იყო მისთვის, თვითეული ჭუჭრუტანა ხის კედელზე, ყოველი ნუჟრი ფიცრის ჭერზე; ტყაპუჭისა და პურის სუნი იდგა — ის მშობლიური მყუდროება იგრძნობოდა, რომელიც სიკვდილის დროსაც არ ავიწყდება კაცს, სახურავზე მარტის ქარი ზუზუნებდა. ტიხრს იქით მამა ხვრინავდა, დედა ლოგინში ბორგავდა, ოხრავდა, არ ეძინა. ლეიტენანტი პირქვე იწვა, სახე ხელებში ჩაეშალა: „ნუთუ ვერ მიცნო, — ფიქრობდა — ნუთუ ევრ მიცნო? დედა, დედა!“

დილით შეშის ტკაცუნმა გამოაღვიძა. დედა ფრთხილად ტრიალებდა ღუმელთან. გაჭიმულ თოკზე მისი სუფთა ფეხსახვევები ეკიდა. კარებთან გაწმენდილი ჩექმები ეწყო.

— ფეტვის ხავიწებს თუ სჭამ? — შეეკითხა დედა.

დრიომოვს მაშინვე არ უპასუხნია, ღუმელიდან ჩამოძვრა, გიმნასტურა გადაიცვა, ქამარი შემოიჭირა და, ფეხშიშველი მერხზე ჩამოჯდა.

— მითხარით, თქვენს სოფელში ცხოვრობს კატია მალიშევა, ანდრეი სტეპანიჩის ქალი?

— შარშან დაამთავრა კურსები, ჩვენთან მასწავლელობს. ნახვა ხომ არ გინდა მისი?

— თქვენმა შვილმა მთხოვა, უსათუოდ გადავცე მოკითხვა.

დედამ მეზობლის გოგონა გაგზავნა მის დასაძახებლად. ლეიტენანტმა ჩექმების ჩაცმა ვერ მოასწრო, რომ კატია მალიშევამ მოირბინა. მას დიდი ნაცრისფერი თვალები უბრწყინავდა, წარბები მაღლა აეჭიმა, სიხარულისაგან ლოყები წითლად უღვივოდა, როცა ნაქსოვი შალი მოიხსნა და განიერ მხრებზე გადაიგდო, ლეიტენანტმა ყრუდ დაიკვნესა, — რომ შეიძლებოდეს დაჰკოცნოს ეს თბილი ნათელი თმები!.. მხოლოდ ასეთად წარმოედგინა თავისი მეგობარი, — ჯანმრთელი, ნაზი, მხიარული, კეთილი, ლამაზი ისე, რომ შემოვიდა თუ არა, ოქროს სხივი მოჰფინა ქოხს.

— იგორისაგან მოკითხვა ჩამოიტანეთ? (იგორი სინათლისაკენ ზურგით იდგა და მხოლოდ თავი დახარა, რადგან ლაპარაკი არ შეეძლო). მე კი დღე და ღამე მის მოლოდინში ვარ, აი ასე გადაეცით მას...

კატია დრიომოვს მიუახლოვდა. შეხედა, და, თითქოს ვიღაცამ მკერდში მსუბუქად ხელი ჰკრაო, უკან დაიხია, შეშინდა. მაშინ იგორმა მტკიცედ გადაწყვიტა: იმ დღესვე წასულიყო.

დედამ რძეზე მოზელილი ფეტვის ხავიწები დააცხო. იგორი კი კვლავ ლეიტენანტ დრიომოვზე ლაპარაკობდა, ამჯერად მის საბრძოლო ამბებზე, — ყვებოდა მკაცრად და თვალს არ უსწორებდა კატიას, რათა მის მშვენიერ სახეზე არ დაენახა თავისი სიმახინჯის ანარეკლი. იგორ იგორიჩი აფუსფუსდა, რომ კოლმეურნეობის ცხენი ეშოვნა, მაგრამ დრიომოვი სადგურზე ფეხით წავიდა, ისევე, როგორც მოვიდა. გული ძალზე დამძიმებული ჰქონდა ყოველივე იმით, რაც მოხდა, გზაზე შეჩერდებოდა ხოლმე, სახეში ხელებს იშენდა, თან ჩახლეჩილი ხმით იმეორებდა „ახლა როგორღა მოვიქცე?“

იგი თავის პოლკში დაბრუნდა, რომელიც შესავსებად ღრმა ზურგში იდგა. ფრონტელი მეგობრები მას ისეთი გულწრფელი სიხარულით შეეგებენენ, რომ გულიდან გადაეყარა ის, რაც ძილს უფრთხობდა, მადას უკარგავდა. ასე გადაწყვიტა: დაე, დედა კარგა ხანს ნუ შეიტყობს მის უბედურებას. ხოლო რაც შეეხება კატიას, ამ სიკვს იგი გულიდან ამოიძირობს.

„სალამი ჩემო საყვარელო შვილო! წერილის მოწერისაც კი მეშინია, არ ვიცი, რა ვიფიქრო. შენგან გამოგზავნილი კაცი იყო ჩვენთან, კარგი ადამიანია, მაგრამ სახით მახინჯი, ერთხანს ჩვენთან ცხოვრებას აპირებდა, და ერთბაშად კი ბარგი აიკრა და წავიდა. მას შემდეგ, შვილო, ღამე არ მძინავს, — ასე მგონია, ეს შენ გვეწვიე. იგორ იგოროვიჩი მიწერილებ სულ გამოსულელდიო. დედაბერო. — მეუბნება: ჩვენი შვილი რომ ყოფილიყო, ხომ გამოგვეცნაურებოდაო... რა აქვს დასამალი, თუ ის ჩვენი შვილი იყო. — ისეთი სახით, როგორიც იმ კაცს ჰქონდა ჩვენთან რომ იყო, კაცმა უნდა იამაყოსო. დამაჯერე ს იგორ იგორიჩი, დედის გული კი თავისას მეუბნება: ისაა, ის იყო თქვენთან! იმ კაცს ღუმელზე ეძინა. მე მისი ფარაჯა გასაწმენდად ეზოში გავიტანე— თან გულში ვიკრავ, თან ვტირი — ისაა, მისია ფარაჯა!.. იგორუშა, მომწერე, ღვთის გულისათვის, საგონებელში ნუ ჩამაგდე, რა იყო ეს? თუ მართლა ჭკუაზე ვცდები“...

იგორ დრიომოვმა ეს წერილი მე, ივანე სუდარევს მაჩვენა, თავისი ისტორია მომიყვა და თვალები სახელოთი მოიწმინდა, მე კი ვეუბნები: შეხვდნენ რაღა ერთმანეთს ხასიათები! სულელო! ჩქარა მისწერე დედას წერილი, პატიება გამოსთხოვე, ჭკუიდან ნუ შეშალე... ძალიან სჭირდება მას შენი სახე! ასეთს იგი კიდევ უფრო მეტად შეგიყვარებს“.

მან იმ დღესვე დაწერა წერილი: „ძვირფასო მშობლებო, მარია პოლიკარპოვნა და იგორი იგორიჩ, მაპატიეთ ბრიყვული ქცევა, დიახ, მე ვიყავი თქვენთან, თქვენი შვილი...“ და სხვა და სხვა, ოთხი ფურცელი ჩაწიკწიკა, — შესაძლებელი რომ ყოფილიყო, ოც ფურცელსაც დასწერდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ორივენი სავარჯიშო მოედანზე ვდგევართ—მორბის ჯარისკაცი და იგორ დრიომოვს ეუბნება: „ამხანაგო, კაპიტანო, თქვენ გკითხულობენ...“ და თუმცა ჯარისკაცი გამოჭიმული დგას, ისეთი გამომეტყველება აქვს, თითქოს გადაკვრას აპირებდეს. ჩვენ დაბისაკენ გავეშურეთ, მივუახლოვდით ქოხს, სადაც დრიომოვთან ერთად ვცხოვრობდით. ვხედავ, კაცი ერთიანად შეიცვალა, სულ ახველებს... ვფიქრობ: „ტანკისტი, ტანკისტია, მაგრამ, ნერვები?!“ ქოხში შევედით. იგი დაწინაურდა და მესმის: „გამარჯობა, დედა, ეს მე ვარ!“ ვხედავ — ჩია ტანის დედაბერი მიეკრა მკერდზე. ოთახს თვალი მოვავლე, იქვე მეორე ქალი შევნიშნე. ქვეყნად კიდევ იქნებიან ლამაზები, მარტო ის ერთი ხომ არაა ასეთი, მაგრამ, პატიოსან სიტყვას გაძლევთ, პირადად მე არ შემხვედრია.

დრიომოვი დედას მოსცილდა, ქალიშვილს მიუახლოვდა, მე უკვე გითხარით, თავისი გოლიათური აღნაგობით იგი ომის ღმერთი იყო-მეთქი „კატია! — თქვა — მან. — კატია, რატომ ჩამოხვედით? თქვენ სხვას დაპირდით ლოდინს და არა ამას...“

ლამაზმა კატიამ უპასუხა და, თუმცა მე დერეფანში გამოვედი, მაინც გავიგონე: „იგორ, მე საუკუნოდ თქვენთან ვაპირებდი ცხოვრებას. მე ერთგულად მეყვარებით, ძლიერ მეყვარებით... ნუ მომშორებთ“.

დიახ, აი რუსული ხასიათი! თითქოს უბრალოა ადამიანი, მაგრამ თუ დადგა დიდი უბედურების წუთი, უმალ აღსდგება მასში უძლეველი ძალა — ადამიანური მშვენიერება.

თარგმანი

**თ. სულიაშვილისა**

# ბალანჩივაძეები

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ხშირად ნახავთ შინაურულად მოსაუბრე მამა-შვილს, როდესაც ისინი რომელიმე ახალ მუსიკალურ ნაწარმოებს ეცნობიან და გულდასმით არჩევენ.**

**თუმცა მამა-შვილის ამ „შინაურულ" განწყობილებას ზოგჯერ არღვევს ორი პროფესიონალი მუსიკოსის გაცხარებული კამათი.**

ეს მოხდა 60 წლის წინათ.

1895 წლის აპრილში, რუსეთის მაშინდელ სატახტო ქალაქ პეტერბურგში ქართული მუსიკის პირველი კონცერტი გაიმართა. კონცერტის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი, ფართო საზოგადოებისათვის ჯერ კიდევ უცნობი ახალგაზრდა, ქართველი კომპოზიტორი მელიტონ ბალანჩივაძე იყო.

კონცერტმა დიდი წარმატებით ჩაიარა. იმ საღამოს საკონცერტო დარბაზში აჟღერებულმა მომხიბვლელმა ქართულმა მელოდიებმა დაატყვევეს დედაქალაქის მსმენელები.

განსაკუთრებული მოწონება ხვდა წილად მელიტონ ბალანჩივაძის მიერ დამუშავებულ საგუნდო სიმღერებს „მიყვარს ფაცხა"-ს და „ნანინა"-ს, აგრეთვე მის რომანსს „ნუ შემიბრალებ", რომელიც თვით ავტორმა შეასრულა გუნდის თანხლებით.

„ტაშის გრიალსა და გამოსაწვევ შეძახილებს ბოლო არ უჩანდა, — წერდა ამ კონცერტის შესახებ ცნობილი პუბლიცისტი ვ. ველიჩკო გაზეთ „Новое обозрение"-ში, — მელიტონ ბალანჩივაძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ქართული მუსიკის კონცერტის ჩატარების პირველმა ცდამ წარმატებით ჩაიარა".

მას შემდეგ ბალანჩივაძის გვარი აფიშებს და ჟურნალ-გაზეთების ფურცლებს არ მოსცილებია. ჩნდებოდა მხოლოდ ახალი სახელები: — ჯერ შვილის — ანდრიასი, შემდეგ კი შვილიშვილის — ჯარჯისა. დაუფასებელია ის ღვაწლი, რომელიც მშობლიური მუსიკალური კულტურის ისტორიაში მუსიკოსთა ამ ოჯახის მამამთავარმა, ქართული მუსიკის კლასიკოსმა, კომპოზიტორმა მელიტონ ანტონის-ძე ბალანჩივაძემ შეიტანა.

პირველი ქართული რომანსისა („ოდესაც გიცქერ") და პირველი ქართული ოპერის („თამარ ცბიერი") შემოქმედმა, ნაციონალური მუსიკის დაუღალავმა პროპაგანდისტმა და ხალხური სიმღერების შემგროვებელმა მელიტონ ბალანჩივაძემ წარუშლელი კვალი დასტოვა ჩვენი ქვეყნის მუსიკალურ ცხოვრებაში.

მელიტონ ბალანჩივაძე ამავე დროს გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე იყო. ჯერ კიდევ 1907 წელს პეტერბურგში მისი პირადი ინიციატივითა და საკუთარი სახსრებით განხორციელებულ იქნა გენიალური რუსი კომპოზიტორის მ. ი. გლინკას წერილების სრული კრებულის პირველი გამოცემა.

კომპოზიტორის შემოქმედებითი და მუსიკალურ-საზოგადოებრივი საქმიანობა კიდევ უფრო ფართოდ გაიშალა საბჭოთა ხელისუფლების წლებში. იგი ქუთაისსა და ბათუმში აარსებს მუსიკალურ სასწავლებლებს და დიდ მუშაობას ეწევა გურულ-აჭარული სიმღერების ჩაწერა-შეგროვებისათვის.

გამოჩენილი რუსი კომპოზიტორების ა. გ. რუბინშტეინისა და ნ. ა. რიმსკი-კორსაკოვის მოწაფემ, მელიტონ ბალანჩივაძემ შეითვისა და თავის ნაწარმოებებში შემოქმედებითად გამოიყენა პროგრესული რუსი კომპოზიტორების რეალისტური ხელოვნების პრინციპები. შემდეგ ეს პრინციპები მან თავის ნიჭიერ შვილს ანდრია ბალანჩივაძეს უანდერძა, რომელსაც დღესაც ღირსეულად მიაქვს ბალანჩივაძეების მუსიკალური ოჯახის ესტაფეტა.

ანდრიას შემოქმედებითი ცხოვრება ძალიან ადრე დაიწყო. თხუთმეტი წლისამ დაამთავრა მუსიკალური სასწავლებელი ფორტეპიანოს კლასით, ხოლო ჩვიდმეტი წლის ჭაბუკი უკვე „ქართული ნოქტურნის"—თავისი პირველი მუსიკალური ნაწარმოების ავტორია.

კომპოზიციის დარგში პირველი გაკვეთილები ანდრია ბალანჩივაძემ თავისი მამისაგან მიიღო, ხოლო კონსერვატორიაში მისი პირველი პედაგოგი, გამოჩენილი რუსი კომპოზიტორი და მუსიკალური მოღვაწე ცნობილი ოპერის „ღალატის" შემქმნელი მ. მ. იპოლიტოვ-ივანოვი იყო.

ფართო შემოქმედებითი დიაპაზონის კომპოზიტორი ანდრია ბალანჩივაძე ერთნაირი გატაცებით და სიძლიერით მუშაობს როგორც სიმფონიურ, ისე საოპერო-საბალეტო და კამერული მუსიკის ჟანრში.

პირველი სიმფონიისა და საფორტეპიანო კონცერტისათვის ანდრია ბალანჩივაძეს ორგზის მიენიჭა სტალინური პრემიის ლაურეატის საპატიო წოდება.

ამ შთაგონებულ მხატვარს, თავისი ღრმად რეალისტური ხელოვნებით, გაბედულად გამოჰყავს ეროვნული მუსიკა ვიწრო ნაციონალურ წყობის ფარგლებიდან და ქართულ მუსიკას ფართო კლასიკური ჰარმონიით ამდიდრებს.

ამიტომაცაა რომ მისი მუსიკალური ქმნილებანი, რომლებიც უაღრესად დახვეწილი ქართული მელოდიკითა და ხელშესახები ნაციონალური კოლორიტით ხასიათდებიან, ასევე ადვილად გასაგები, მისაწვდომი და სასიამოვნო მოსასმენია ყველა სხვა ხალხებისათვისაც. პოლონეთსა თუ ბულგარეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში თუ საფრანგეთში, ჩილეში თუ ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნებში, ყველგან გაისმის მისი მხნე და ხალისიანი მუსიკის ჰანგები, რომელთა დიდმა სითბომ და უკეთესი მომავლისათვის მებრძოლ ადამიანთა ძალებისადმი რწმენამ, მათი ავტორი მოწინავე კომპოზიტორთა რიგებში ჩააყენა.

დემოკრატიული ჩინეთის რევოლუციური ახალგაზრდობა დიდი ხალისით მღერის ანდრია ბალანჩივაძის სიმღერას სტალინზე, რომლის ნოტები ჩინური ტექსტით მასობრივი ტირაჟით გამოიცა პეკინში.

საბჭოთა მსმენელებისათვის ანდრია ბალანჩივაძე ერთ-ერთი საყვარელი კომპოზიტორია. მისი ნაწარმოებები მტკიცედ შევიდნენ ჩვენი ქვეყნის საკონცერტო პროგრამებში, მისი ბალეტი „მთების გული" წარმატებით იდგმება ცხრა ქალაქის საოპერო თეატრების სცენაზე.

ნაყოფიერად მუშაობს იგი კინოფილმების მუსიკალურ გაფორმებაზე. ოცი კინოსურათისათვის დასწერა მან მუსიკა.

სასიამოვნო მოგონებად დარჩა ანდრია ბალანჩივაძეს გასულ შემოდგომაზე რუსთავის მეტალურგებთან შეხვედრა, რომლებიც თბილისის კინოსტუდიაში ახალი ნაწარმოების განხილვაზე მოეწვიათ სტუმრად. ფილმი ქართველი მეტალურგების ცხოვრებას ასახავდა და გასაგებია როგორც დამდგმელისა და სცენარისტის, ისე მხატვრისა და კომპოზიტორის მღელვარება, რომლებისთვისაც რუსთავის მეფოლადეები მაყურებლებიც იყვნენ და კონსულტანტებიც.

მეტალურგებს რომ სურათი მოეწონათ, ეს კომპოზიტორმა ფილმის დამთავრებისთანავე, სხვებზე ადრე შეიტყო, როდესაც რამდენიმე ახალგაზრდის დასტვენას მოუსმინა.

ისინი ურალში წასული ახალგაზრდა მეტალურგების სიმღერის მოტივს უსტვენდნენ ახლახან ნახული კინოფილმიდან.

შემოქმედებითი მუშაობასთან ერთად კომპოზიტორი აქტიურ საზოგადოებრივ და მუსიკალურ-პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწევა — იგი საქართ-

**კომპოზიტორის ბინაზე ხშირად იმართება კონცერტი ბალანჩივაძეების ნაწარმოებებიდან. მამა-შვილი რიგრიგობით ასრულებენ ახალ საფორტეპიანო პიესებს.**

ველოს საბჭოთა კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე და ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის პროფესორია.

მისი მოწაფეები იყვნენ ამჟამად ცნობილი მუსიკალური მოღვაწეები: ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატები— ა. შავერზაშვილი და ქ. თუმანიშვილი, კომპოზიტორები—ჩიმაკაძე, ლაღიძე, თევდორაძე, დავითაშვილი, მილორავა, კვერნაძე, უკრაინელი კომპოზიტორი ცაგლიარი და სხვ.

უკანასკნელ წლებში ჩვენი მსმენელებისათვის ანდრია ბალანჩივაძე ცნობილი გახდა, აგრეთვე როგორც მუსიკოსი-შემსრულებელი.

ჩვენს კომპოზიტორებს შორის შედარებით იშვიათად შეხვდებით ისეთ ოსტატებს, რომლებიც ბრწყინვალედ ფლობდნენ ფორტეპიანოზე დაკვრის ოსტატობას და შეეძლოთ თავისი ვირტუოზული ნაწარმოებები თვითვე შეასრულონ — ასეთები არიან დ. შოსტაკოვიჩი, ტ. ნიკოლაევა და ა. ბალანჩივაძე.

დაკვრის მაღალი ოსტატობის გამო, მას როგორც ავტორსა და შემსრულებელს ხშირად იწვევენ საგასტროლოდ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში, ქართული სიმფონიური მუსიკის კონცერტებში მონაწილეობის მისაღებად.

დროა გავიხსენოთ მუსიკოსთა ამ ოჯახის ყველაზე უმცროსი წარმომადგენელიც.

მას ჯარჯის ეძახიან.

ბიჭუნას მამამ თავისი ბალეტის „მთების გულის“ მთავარი გმირის სახელი შეარქვა... ჯარჯიც ხომ მაშინ დაიბადა, როდესაც ეს ბალეტი იქმნებოდა.

ჯარჯი ჯერ მხოლოდ ცამეტი წლისაა, მაგრამ მას უკვე კარგად იცნობენ როგორც მზარდსა და მომავლის მქონე პიანისტს.

თბილისელ მსმენელებს ემახსოვრებათ მისი ერთ-ერთი პირველი გამოსვლა ფართო საზოგადოების წინაშე.

...1952 წლის ნოემბერი.

გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის მელიტონ ბალანჩივაძის გარდაცვალებიდან თხუთმეტი წლის თავის აღსანიშნავი საღამო. სინათლით გაკაშკაშებულ დიდ სცენაზე როიალს მისჯდომია ათი წლის ბიჭუნა და, მთელ სიმფონიურ ორკესტრთან ერთად, უცდის დირიჟორის ნიშანს.

სადირიჟორო ჯოხის სწრაფი გაელვება, მოკლე საორკესტრო შესავალი და ახალგაზრდა მუსიკოსი გაბედულად იღებს რთული სოლო-პარტიის პირველ აკორდებს.

ეს ჯარჯი ბალანჩივაძეა, რომელიც სახელოვანი პაპის ხსოვნის აღსანიშნავ საღამოზე, მამამისის მიერ შექმნილ მესამე საფორტეპიანო კონცერტს უკრავს.

ეს დღე ჯარჯის არასოდეს დაავიწყდება.

ამჟამად იგი ცენტრალური მუსიკალური სკოლა-ათწლედის მოსწავლეა, სადაც ფორტეპიანოზე დაკვრის ოსტატობას გამოცდილი პედაგოგის დოცენტ ჩარექიშვილის ხელმძღვანელობით ეუფლება.

მაგრამ, რასაკვირველია, ჯარჯის მუდმივი დამრიგებელი მაინც მამამისია, რომელთანაც იგი მუდამ „ახლო ურთიერთობაშია“.

ხშირად ნახავთ ამ შინაურულად მოსაუბრე მამა-შვილს, როდესაც ისინი რომელიმე ახალ მუსიკალურ ნაწარმოებს ეცნობიან და გულდასმით არჩევენ. თუმცა მამა-შვილის ამ „შინაურულ“ განწყობილებას ზოგჯერ არღვევს ხოლმე ორი პროფესიონალი მუსიკოსის გაცხარებული კამათი. ამგვარი „დავის“ მოგვარებას უფროს-უმცროსობაც ვერაფერს შველის და არც ერთი მხარე დათმობაზე არ მიდის...

მამაც და შვილიც მეტად შრომისმოყვარენი არიან. ისინი ხშირად საკუთრით გადაბმით მეცადინეობენ, წერენ, უკრავენ...

ახალი წლიდან ჯარჯი ბეთჰოვენის ერთ-ერთ უკვდავ ნაწარმოებზე პირველ საფორტეპიანო კონცერტზე მუშაობს, რომელსაც უახლოეს მომავალში დიდ სიმფონიურ ორკესტრთან ერთად შეასრულებს.

მამამისს უფრო ფართო შემოქმედებითი გეგმები აქვს. იგი ჯერ კიდევ შარშან შეუდგა მეორე სიმფონიაზე მუშაობას და მის დამთავრებაა გაზაფხულისათვის ფიქრობს. გარდა ამისა, იგი გაცხოველებით მუშაობს თავისი მეორე ბალეტის ახალ რედაქციაზე, რომლის დადგმაც მოსკოვის დიდი თეატრის სცენაზეა განზრახული.

ასე ცხოვრობენ და ქმნიან სახელოვანი ქართველი კომპოზიტორის მელიტონ ბალანჩივაძის შთამომავალნი.

**ი. ფანიანელი**

# ნ. ო. ციბულსკი

ი. სეჩენოვისა და ი. პავლოვის მიერ შექმნილმა ფიზიოლოგიის სკოლებმა ჩვენს დიად ქვეყანას მისცეს სახელოვან მეცნიერთა მთელი თაობები.

ამ სკოლებთან კავშირში და მათი გავლენის ქვეშ აღიზარდა მრავალი გამოჩენილი ფიზიოლოგი.

ი. სეჩენოვის სკოლასთან მჭიდროდაა დაკავშირებული გამოჩენილი პოლონელი ფიზიოლოგი ნ. ო. ციბულსკი, რომლის დაბადების ასი წლის თავი ამას წინათ იქნა აღნიშნული. იგი აღიზარდა იმ ფიზიოლოგიურ ლაბორატორიაში, რომელსაც სეჩენოვის სკოლის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი ივანე თარხნიშვილი ხელმძღვანელობდა.

* * *

ნ. ო. ციბულსკიმ საშუალო განათლება მინსკის გიმნაზიაში მიიღო. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ იგი 1875 წელს პეტერბურგის სამედიცინო-ქირურგიულ აკადემიაში შევიდა.

სამედიცინო-ქირურგიულ აკადემიაში იმ დროს მოღვაწეობდნენ რუსული მეცნიერების გამოჩენილი მოამაგენი და მათ შორის რუსული მეცნიერების დიდება ივანე სეჩენოვი, რომელიც 1860 წლიდან დაწყებული, ათი წლის განმავლობაში განაგებდა აკადემიის ფიზიოლოგიის კათედრას. ბრწყინვალე პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად მან აღნიშნული კათედრა შემოქმედებითი მეცნიერული მუშაობის კერად აქცია. სამოცდაათიანი წლების დამდეგისათვის ი. სეჩენოვი, მის წინააღმდეგ მებრძოლი რეაქციული ძალების შავბნელი მოქმედების შედეგად, იძულებული გახდა თავი დაენებებინა საყვარელი მუშაობისათვის სამედიცინო-ქირურგიულ აკადემიაში.

ამის შემდეგ სამედიცინო-ქირურგიულ აკადემიაში ფიზიოლოგიის ლექციებს კითხულობდნენ სხვადასხვა პირები და მათ შორის ი. სეჩენოვის მოწაფე ივანე თარხნიშვილი, რომელიც შემდეგ ხსენებული კათედრის გამგედ იქნა არჩეული.

ახალგაზრდა ქართველი მეცნიერი ი. თარხნიშვილი საყვარელი რუსი მასწავლებლის ი. სეჩენოვის კვალს გაჰყვა და მის განმგებლობაში მყოფ ფიზიოლოგიურ ლაბორატორიაში მჩქეფარე სამეცნიერო მუშაობა გააჩაღა.

სწორედ ამ ხანებში დაიწყო სამედიცინო-ქირურგიულ აკადემიაში სწავლა ნ. ციბულსკიმ. ნიჭიერი, შრომისმოყვარე და მგზნებარე ჭაბუკი იმდენად მოხიბლა ფიზიოლოგიამ, რომ მეორე კურსიდანვე გატაცებით ჩაება ფიზიოლოგიურ ლაბორატორიის მუშაობაში. მან ი. თარხნიშვილის ყურადღება მიიპყრო და მესამე კურსზე გადასვლის შემდეგ მასთან ასისტენტად დაიწყო მუშაობა.

ნ. ციბულსკიმ 1880 წელს წარჩინებით დაამთავრა სამედიცინო-ქირურგიული აკადემია. ამის შემდეგ იგი კვლავ განაგრძობდა პროფ. ი. თარხნიშვილთან ასისტენტად მუშაობას, ხოლო 1881 წელს ამ უკანასკნელის წარდგენით დანიშნულ იქნა ფიზიოლოგიის კათედრის პროზექტორის თანამდებობაზე. ამ დანიშვნასთან დაკავშირებით, სამედიცინო-ქირურგიული აკადემიის პროფესორების ზაგარიკინის, თარხნიშვილის და სხვათა ხელმოწერით აკადემიის კონფერენციის სახელზე წარდგენილ ბარათში ნ. ციბულსკი დახასიათებული იყო, როგორც კარგად მომზადებული, კრიტიკულად მოაზროვნე, მუყაითი და მზარდი ახალგაზრდა მეცნიერი.

ნ. ციბულსკი სამედიცინო-ქირურგიული აკადემიის ფიზიოლოგიურ კათედრაზე პროზექტორად მუშაობდა 1885 წლამდე. ამ პერიოდში იგი პროფ. თარხნიშვილის ხელმძღვანელობით ინტენსიურ სამეცნიერო მუშაობას ეწეოდა. მთელ რიგ მნიშვნელოვან გამოკვლევებთან ერთად მან შეასრულა და წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია.

აღსანიშნავია, რომ ფიზიოლოგიის კათედრის პროზექტორად მუშაობის დროს, ნ. ციბულსკი უკვე ჩამოყალიბებული და გარკვეული სამეცნიერო შეხედულებების მეცნიერი იყო. ფიზიოლოგიური კვლევის მეთოდებს მშვენივრად დაუფლებული და ღრმა ფიზიოლოგიური ცოდნით აღჭურვილი, დიდი მეცნიერის ი. თარხნიშვილის მოწაფე, დახმარებას უწევდა კათედრაზე მომუშავე მკვლევარებს. დიდი რუსი ხალხის შვილებთან ერთად, კათედრაზე შემოკრებილნი იყვნენ სხვადასხვა ეროვნების ადამიანები, რომელთა შორის, კვლავ, ისევე, როგორც სეჩენოვის დროს, სუფევდა შემოქმედებითი თანამშრომლობისა და მეგობრობის ატმოსფერო.

* * *

1885 წელს ნ. ციბულსკი მიწვეულ იქნა ქ. კრაკოვში ფიზიოლოგიის პროფესორად, სადაც მოკლე ხნის განმავლობაში მის ირგვლივ შემოიკრიბა ნიჭიერი ახალგაზრდობა და შეიქმნა ცნობილი ფიზიოლოგიური სკოლა, რომელსაც მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვის ძარღვებში სისხლის მიმოქცევისა და ფიზიოლოგიის მთელ რიგ სხვა მნიშვნელოვან საკითხების გამოკვლევაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ნ. ციბულსკისა და მისი მოწაფეების მიერ ჩატარებული გამოკვლევები ელექტროფიზიოლოგიის, ორგანიზმში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესებში თირკმელზედა ჯირკვლების და მათი ექსტრაქტების მონაწილეობის შესახებ და სხვ.

აღსანიშნავია, რომ ი. პავლოვი სხვა რუს მეცნიერებთან ერთად დიდად აფასებდა ნ. ციბულსკისა და მისი სკოლის გამოკვლევებს.

* * *

ქ. კრაკოვში სამუშაოდ გადასვლის შემდეგ, ნ. ციბულსკის არ შეუწყვეტია ურთიერთობა სამხედრო-სამედიცინო აკადემიის ფიზიოლოგიურ კათედრასთან და რუსეთის ფიზიოლოგიური აზრის სხვა უმნიშვნელოვანეს კერებთან. ბევრ რუს მეცნიერთან მას პირადი მეგობრობა და საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა, რაც წლების მანძილზე სულ უფრო და უფრო მტკიცდებოდა.

პროფ. ი. თარხნიშვილი და პროფ. ნ. ციბულსკი სიცოცხლის უკანასკნელ ხანამდე უახლოესი მეგობრები იყვნენ. საერთო სამეცნიერო ხასიათის ინტერესებთან ერთად, მათ გულითადი მეგობრობა და სიყვარული აკავშირებდათ.

პროფ. ი. თარხნიშვილი, სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, არაიშვიათი სტუმარი იყო პროფ. ნ. ციბულსკის გამგებლობაში მყოფი კრაკოვის უნივერსიტეტის ფიზიოლოგიური ლაბორატორიისა, სადაც მის მიერ მთელი რიგი მნიშვნელოვანი გამოკვლევებიც კი იყო ჩატარებული. მასწავლებლისა და მოწაფის შემოქმედებითმა თანამშრომლობამ მთელი სიცოცხლის განმავლობაში გასტანა და გამოხატულება პოვა საერთო ძალით შესრულებულ და ორივეს ავტორობით გამოქვეყნებულ შრომებში.

პროფ. ი. თარხნიშვილის და პროფ. ნ. ციბულსკის ურთიერთობას მათი ნაცნობობის მთელ მანძილზე ურთიერთგაგება, პრინციპული მეგობრობა, განსაკუთრებული სითბო და სიყვარული ახასიათებდა.

ი. თარხნიშვილის და ნ. ციბულსკის მეგობრობა და შემოქმედებითი თანამშრომლობა ერთ-ერთი ლამაზი სტრიქონია ხალხთა მეგობრობის იმ შესანიშნავ ეპოპეიდან, რომელიც ჯერ კიდევ თვითმპყრობელობის სუსხიან პერიოდში იჭედებოდა რუსეთის მოწინავე ძალების მესვეურობით, ხოლო ოქტომბრის ბრწყინვალე მზის ცხოველმყოფელი სხივების ქვეშ მრავალფეროვნად გაიფურჩქნა და აყვავდა საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის.

**ფიხეილ სააკაშვილი**

# თეატრებში



ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსთაველის სახელობის თეატრი. სცენა ჯ. ფლეტჩერის კომედიიდან „ესპანელი მღვდელი“.

წლევანდელი თეატრალური სეზონი ნაყოფიერი გამოდგა, მრავალი ახალი, საინტერესო სპექტაკლი დაიდგა თბილისის თეატრების სცენაზე.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრში დიდი წარმატებით იდგმება მორეტოს მხიარული კომედია „ცოცხალი პორტრეტი“. კლასიკური კომედიური სიტუაცია — მრავალი სხვადასხვა გარემოებისა და მიზეზის გამო ერთმანეთთან დაკავშირებულ პერსონაჟთა ურთიერთობის რთული ხლართი, შეცდომების რიგი, რომელსაც ერთგან სიტუაცია განაპირობებს, სხვაგან — გამოჩერჩეტებული მამისა და რეგვენი სასიძოს სიბეცე, ჭამა-სმას დახარბებული მსახური, ესპანელი უბრალო ხალხის შვილი, რომელიც გაჭირვებას ისე გამოუწვრთნია, რომ ადვილად აბრიყვებს უჭკუო გრანდებს, შეყვარებული წყვილები, ბედნიერი დასასრული — ყოველივე ეს სიცოცხლესა და სიხალისეს ანიჭებს სპექტაკლს. მოქმედება მოქმედებას მისდევს, დინამიკა არსად ნელდება, პროფესიონალების სიტყვით რომ ვთქვათ — „სცენა არასოდეს ცივდება“ და ეს დამდგმელის, ახალგაზრდა რეჟისორის გ. ლორთქიფანიძისა და მსახიობთა გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს.

პიესაში მთავარ როლებს ორი შემადგენლობა ასრულებს. თუ სცენის გამოჩენილი ოსტატების, რესპუბლიკის დამსახურებული მსახიობის ა. კვანტალიანისა და ალ. გომელაურის მიერ განსახიერებული მსახური ტაკონი და დონ პედრო მოსწონს მაყურებელს, არა ნაკლებ მომხიბვლელია ახალგაზრდა მსახიობების შ. ქოჩორაძისა და დ. ქუთათელაძის თამაშიც. ა. კვანტალიანის ტაკონი უფრო გაიძვერაა, ხოლო შ. ქოჩორაძეს ისე აქვს მოფიქრებული ეს როლი, რომ ეშმაკ და მხიარულ, ცერცეტ მსახურს წარმოგვიდგენს; ალ. გომელაურის დონ პედრო ასე თუ ისე საზრიანი მოხუცის შთაბეჭდილებას ტოვებს, დ. ქუთათელაძე კი ამ როლის განსახიერებისას საგანგებოდ უსვამს ხაზს მოხუცებული მამის სიბრიყვეს. მაყურებლის მოწონებას იმსახურებენ აგრეთვე დ. ოქროცვარიძე (დონ დიეგო), ნ. აფაქიძე და და მ. თბილელი (დონა ინესა), ელ. ყიფშიძე (დონა ანა), რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები გ. შავგულიძე და ი. ტრიპოლსკი (დონ ფერნანდო).

ისევ ესპანეთი, ძუნწი ვექილი, დიდებულის ვერაგი ბეუღლე და კეთილშობილი ძმა, ვექილის ლამაზ ცოლზე შეყვარებული აზნაური, მღვდელი და დიაკონი, რომელთა ერთადერთი ღმერთი და საფიცარი ოქროა, სიყვარულის ზეიმი და ბოროტების ძლევა — აი, რა არის წარმოდგენილი ჯ. ფლეტჩერის კომედიაში „ესპანელი მღვდელი“, რომელიც რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე იდგმება (რეჟისორი მ. თუმანიშვილი). მაყურებელმა შეიყვარა ეს სპექტაკლი. ყველას მოსწონს მსახიობი ერ. მანჯგალაძე ესპანელი მღვდლის ლოპესის როლში, კ. მახარაძის ბარტოლუსი, რესპუბლიკის სახალხო არტისტის ნ. ლაფაჩის მიერ გასახიერებული ვიოლანტა. მ. ჩახავას ამარანტა, განსაკუთრებით კი რესპუბლიკის სახალხო არტისტის ემ. აფხაიძის მიერ შესანიშნავად წარმოსახული დიაკონი დიეგო. განსაკუთრებით სასიხარულო იყო ახალგაზრდა მსახიობ რამაზ ჩხიკვაძის დებიუტი. ახალგაზრდა მსახიობი ამ სპექტაკლში პირველად გამოვიდა საპასუხისმგებლო როლში დრამატული თეატრის სცენაზე და პიესის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი — აზნაური ლეანდრო განასახიერა. რ. ჩხიკვაძეს ჩვენი მაყურებელი უკვე იცნობს კინოფილმ „ჭრიჭინადან“. დაუფარავად უნდა ითქვას, რომ ეკრანზე იგი არ იყო მიმზიდველი, მაგრამ სულ სხვაა რ. ჩხიკვაძე სცენაზე — სიცოცხლით სავსე, ტემპერამენტიანი და მოხერხებული ჭაბუკი ლეანდრო გამოჩენისთანავე იმსახურებს სიმპათიას, სცენები მისი მონაწილეობით სპექტაკლის საუკეთესო ადგილებია.

რუსთაველის სახელობის თეატრის მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო მორიგ პრემიერად დიდი რუსი მწერლის მ. გორკის „ვასა ჟელეზნოვას“ წარმოდგენა (დამდგმელი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე დ. ალექსიძე).

მ. გორკის ეს ნაწარმოები საყოველთაოდ ცნობილია (თუნდაც იმ ფილმ-სპექტაკლის მეოხებით რომელშიაც ვასას როლს ბრწყინვალედ ასრულებს გამოჩენილი რუსი მსახიობი პაშენნაია) და მისი შინაარსის შესახებ არას ვიტყვით. აქ მხოლოდ ის უნდა აღვნიშნოთ, რომ პროფესიული თვალსაზრისით სპექტაკლი რუსთაველის თეატრის მორიგი გამარჯვებაა. რესპუბლიკის სახალხო არტისტს თ. ჭავჭავაძეს მშვენივრად დაუძლევია ვასას მეტად რთული როლი. განსაკუთრებით ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს იგი მეორე მოქმედებაში რძალთან, რაშელთან შეხვედრისას, როდესაც ვასა სავსებით ამჟღავნებს თავის რთულსა და წინააღმდეგობით სავსე ბუნებას.

თანაბარი სიძლიერით და ჩვეული ოსტატობით თამაშობს პროხორ ხრაპოვის როლს სსრკ სახალხო არტისტი ა. ვასაძე: კარგად ასრულებენ ვასას ქალიშვილების—ნატალიასა და ლიუდმილას როლებს თ. თეთრაძე და ჟ. დუგლაძე; რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს ნ. ალექსი-მესხიშვილს ვასას მდივნისა და მესაიდუმლის ანას ეპიზოდური როლი აქვს შესასრულებელი, მაგრამ გაიძვერა და ქლესა მსახურის დასამახსოვრებელ სახესა ჰქმნის, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ალ. თოიძე მშვენივ-

მორიგ პრემიერად რუსთაველის თეატრმა მაყურებელს უჩვენა გორკის ცნობილი დრამა „ვასა ჟელეზნოვა“. სცენა სპექტაკლიდან.

მორეტოს კომედია „ცოცხალი პორტრეტი“ მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე.

F-1789

რად ასახიერებს რაშელის როლს, მხოლოდ მესამე მოქმედებაში ვასასთან საუბრისას ჭარბ ექსპრესიულობას იჩენს. მსახიობს რომ უფრო ძუნწი შტრიხებით გამოეხატა ზიზღი ვასასადმი, მისი გადაგვარებული ოჯახისა და მთელი მისი ძირგამომპალი კლასის მიმართ, უფრო ღრმა შთაბეჭდილებას მოახდენდა და უკეთ გაუსვამდა ხაზს ფინალური სცენების სოციალურ მხარეს. მოსაწონად, მისთვის ჩვეული მანერით თამაშობს რესპუბლიკის სახალხო არტისტი გ. დავითაშვილი (სერგეი პეტროვიჩი).

„ვასა ჟელეზნოვა“ რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს. და ეს მარტო მსახიობთა კარგი თამაშის შედეგი როდია; სპექტაკლი მშვენივრადაა გაფორმებული. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს კომპოზიტორ ო. თაქთაქიშვილის მუსიკა, რომელიც ორგანულად ექსოვება მთელს სპექტაკლს და მის იდეურ-მხატვრულ გადაწყვეტაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს; — უმუსიკოდ ფინალური სცენა (რაშელის გასვლა ვასას სახლიდან ხალხური სიმღერისა და ამომავალი მზის ფონზე) ესთეტიკური ზემოქმედების ძალას დაკარგავდა და პიესა მხატვრულ დასრულებულობას იქნებოდა მოკლებული. ასევე შესანიშნავადაა მუსიკალურად გაფორმებული „ესპანელი მღვდელიც“ (კომპოზიტორი ს. ცინცაძე). იგივე არ ითქმის „ცოცხალ პორტრეტზე“—მაყურებელს არც კი ამახსოვრდება—ახლდა თუ არა მუსიკა სპექტაკლს. თეატრი სინთეტური ხელოვნებაა და სპექტაკლის მხატვრული მთლიანობის ყოველ კომპონენტს გულისხმიერი დამუშავება ესაჭიროება.

თეატრი ერთგვარი ესთეტიკური სკოლაცაა და სცენას ყველაზე წრფელად ნორჩი მაყურებლები გაინიცდიან. ა. ჟელიაბუჟსკის მიერ ვოინიჩის ცნობილი რომანიდან გადმოკეთებული „კრაზანა“, რომელიც მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის სცენაზე იდგმება, რომანტიკული პათოსითა და ოპტიმიზმით ხიბლავს ნორჩ თაობას. კარგად ასრულებს ახალგაზრდა მსახიობი გ. სიხარულიძე არტურის როლს—იგი თითქოს ნელ-ნელა იზრდება მაყურებლის წინაშე და ახალგაზრდული მებრძოლი სულის მთელს სიდიადეს სპექტაკლის დასასრულს ავლენს — საპატიმროს სცენაში და დახვრეტისას. კარგად ასრულებენ მონტანელის როლს რესპ. დამსახ. არტ. გ. დარისპანაშვილი და ნ. ხორავა.

მოზარდ მაყურებელთა თეატრის სცენაზე ამ უკანასკნელ ხანს დაიდგა აგრეთვე ა. გომიაშვილის „ეს მოხდა მოსკოვში“ და ა. აღლაძის „ანდროს ოცნება“. მალე ნორჩი მაყურებლები იხილავენ ი. ნახუცრიშვილისა და დ. ცხაკაიას მიერ ინსცენირებულ ი. ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობს“.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრში ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, რეჟისორი ვ. ტაბლიაშვილი დგამს ვ. კანდელაკის ისტორიულ პიესას „მაია წყნეთელი“. პიესაში ნაჩვენებია ქართველი ხალხის ბრძოლა ერეკლე II-ის მეთაურობით ფეოდალების პარტიკულარიზმისა და შინაგამცემობის წინააღმდეგ. ნაწარმოები ჰეროიკულ კომედიას წარმოადგენს, იგი გაჟღენთილია ხალხის მებრძოლი, ცხოველმყოფელი სულითა და ოპტიმისტური სულისკვეთებით. კომედიურ სიტუაციას უმთავრესად ის ქმნის, რომ მთავარი მოქმედი პირი — მაია, ვაჟურადაა გადაცმული. იმედია, რომ მაყურებელი საინტერესო პატრიოტულ სპექტაკლს იხილავს.

რუსთაველის სახელმწიფო თეატრს განზრახული აქვს მომავალ დადგმად მაყურებელს უჩვენოს ა. აღლაძის ახალი პიესა „წარსულის ფურცლებიდან“. პიესაში ასახულია მენშევიკების ბატონობის ბნელი ხანა და ინგლის-ამერიკის იმპერიალიზმის ხრიკები საქართველოში. სპექტაკლს დგამს სსრკ სახალხო არტისტი ა. ვასაძე.

ჩვენი თეატრების მიმდინარე მუშაობაში განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობა თანამედროვეობის, ჩვენი ცხოვრების ამსახველი ორიგინალური პიესების სიმცირე.

თეატრების საბრძოლო ამოცანაა ამ ჩამორჩენის დაძლევა დრამატურგებთან ერთობლივი მუშაობით.

**კარლო ჭილარჯიანი**

# ქრონიკა

## თბილისის რადიოკლუბში

**რადიოკლუბის საკონსტრუქციო ლაბორატორიაში რადიომოყვარული-კონსტრუქტორები (მარცხნიდან მარჯვნივ): იური ხუციშვილი, კოტე ხიმშიაშვილი და ლევან პავლენკო გამოფენისათვის ამზადებენ სტაციონალურ მაგნიტოფონის მაღალხარისხოვან გამაძლიერებელს.**

რადიოს გამოგონებიდან წელს 60 წელი სრულდება. ამასთან დაკავშირებით ეწყობა მე-12 რადიოგამოფენა, რისთვისაც გაცხოველებული მუშაობაა გაჩაღებული თბილისის რადიოკლუბში.

რადიომოყვარული კონსტრუქტორები ვ. შეყრილაძე, ს. იუზბაშევი, ა. გეგეჭკორი და მრავალი სხვა, ამზადებენ უნივერსალურ საზომ ხელსაწყოს, პორტატულ მაგნიტოფონს, რთული სქემის რადიომიმღებს.

კლუბის ფილიალებშიაც ფართოდ არის გაშლილი მუშაობა.

კლუბთან არსებულ მოკლეტალღოსანთა და ულტრატალღოსანთა გაერთიანებული სექციის წევრები გამოფენისათვის ამზადებენ ულტრამოკლეტალღიან გადაცემების კონსტრუქციას. ამ სექციის წევრებმა იანვარში მონაწილეობა მიიღეს მე-7 საკავშირო სატელეფონო შეჯიბრებაში და დაუკავშირდნენ საბჭოთა კავშირისა და დემოკრატიული ქვეყნების მრავალ მოკლეტალღოსნებს.

რადიოკლუბთან არსებობს სალექციო ბიურო, რომლის მიზანია რადიოტექნიკური ცოდნის პოპულარიზაცია. ბიუროს მუშაობას ხელმძღვანელობს საბჭოთა კავშირის საპატიო რადისტი ვარლამ თადუმაძე.

## იზრდება ქალაქი რუსთავი



**რუსთავის ქალაქის მშენებლობაზე (მარჯვნიდა მარცხნივ): კალატოზები კარლო ხიდაშელი, მანუელ ფუნდეს, ბრიგადირი რაგიმ სალიმოვი, მემანქანე ლიდლიზუნოვა და კალატოზი შანხულარ სალიმოვი ქალაქი მშენებლობაზე.**

მტკვრის მარჯვენა მხარეზე უკვე გაიშალა მეტალურგთა ქალაქის პირველი რიგის სამუშაოები.

ამჟამად შენდება 22 საცხოვრებელი სახლი. ზოგი მათგანი ოთხი ბინისაგან შედგება, ზოგი კი თოთხმეტ ბინისაგან. ბინები ორ და ოთხოთახიანია კეთილმოწყობილი, სათავსოებით.

სახლების ნაწილი ამ წლის პირველ ნახევარში დამთავრდება, დანარჩენი კი წლის ბოლოსათვის. ტერიტორიის ნაწილი გამოყოფილია ინდივიდუალურ მშენებლებისათვის, რომელთა რიცხვი საგრძნობია. ინდივიდუალური მშენებლობაც იწარმოებს ქალაქის საერთო გეგმის შესაბამისად.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ქუჩებისა და საერთოდ ქალაქის ახალი ტერიტორიის გამწვანებას. გარდა იმისა რომ ქუჩებში ორივე მხარეს ჩამწკრივებული იქნება მწვანე ნარგავები, მტკვრის სანაპიროზე გაშენდება ტყე-პარკი სასპორტო მოედნებითა და ნაგებობებით.

საერთოდ, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მშენებლობა დაგეგმილია ათი ათასი მცხოვრებისათვის. ქალაქ რუსთავის „ძველ“ და ახალ ნაწილს ერთიმეორესთან დააკავშირებს ლამაზი ხიდი.

## ზავშრის საცურაო აუზი



**საბჭოთა კავშირის რეკორდსმენი ცურვაში გოგონათა შორის რადა არკადიევა „დინამოს“ წყალჯომარდობის აუზთან.**

„დინამოს“ სტადიონთან არსებობს ზამთრის საცურაო აუზი. აუზში წყლის სითბო 24°-ს აღწევს. მთელი დღის განმავლობაში განუწყვეტელი ვარჯიში სწარმოებს აქ. მეცადინეობენ სასპორტო საზოგადოებათა მოცურავეები, სასპორტო და სხვა სკოლების მოსწავლეები. აუზში წრთვნას გადიან სოხუმელი, ბათუმელი და ფოთელი სპორტსმენები.

აუზში წრთვნა წარმოებს დილის 7 საათიდან ღამის 12 საათამდე. ამ ხნის განმავლობაში აუზი მომსახურებას უწევს 400 სპორტსმენს.

20 კვალიფიციური მწრთვნელი ყოველდღიურად თვალყურს ადევნებს ახალგაზრდა სპორტსმენთა ვარჯიშს.

„დინამოს“ საცურაო აუზში წრთვნას გადიან არა მარტო მოცურავეები, არამედ წყალბურთელებიც.

**ფოტო რ. აკოფოვისა**

ეროვნული ბიბლიოთეკა
საჯარო ბიბლიოთეკა



# იუსტინე ჯანელიძე

საბჭოთა ქირურგიულ მეცნიერებას ამშვენებს გამოჩენილი ქირურგისა და საზოგადო მოღვაწის იუსტინე ივლიანეს-ძე ჯანელიძის სახელი, რომელიც მთელი თავისი ცხოვრებით და სამეცნიერო მოღვაწეობით ადამიანთა კეთილდღეობისათვის ზრუნვის კაცთმოყვარულ იდეას ემსახურებოდა.

თავის მრავალრიცხოვან სამეცნიერო შრომებში აკადემიკოსმა ი. ჯანელიძემ თეორიულად განაზოგადა მის მიერ პრაქტიკულად უკვე განხორციელებული იმ დროისათვის მეტად გაბედული და ურთულესი ოპერაციების შედეგები.

სახელგანთქმული რუსი ქირურგის პროფ. პიროგოვის შემდეგ აკად. ი. ჯანელიძის მიერ მოწოდებული და დამუშავებული ორიგინალური საოპერაციო მეთოდიკა უდიდესი შენამატი იყო ქირურგიულ მეცნიერებისათვის. ისინი დღესაც ძირითად სახელმძღვანელო დებულებებს წარმოადგენენ გულზე და ტოროკალურ არეში ოპერაციების წარმოებისას.

იუსტინე ივლიანეს-ძე ჯანელიძე დაიბადა 1883 წელს სამტრედიაში. ბავშვზე მზრუნველობა თავს იდვა ბიძამისმა, რომელმაც ბავშვი ქუთაისში ჩამოიყვანა და კლასიკურ გიმნაზიაში მიბარა.

1903 წ. ი. ჯანელიძე ამთავრებს გიმნაზიას და უმაღლესი განათლების მისაღებად შვეიცარიაში მიემგზავრება, სადაც ჟენევის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტად ჩაერიცხება. 1909 წელს, ხაუნივერსიტეტო კურსის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, ი. ჯანელიძე ფრანგულ ენაზე იცავს დისერტაციას თემაზე: „სათესლე ჯირკვლების სიმსივნეებისა და ტერატომების საკითხისათვის“.

იმ დროს საზღვარგარეთ განათლებამიღებულ ახალგაზრდებს ერთგვარად სავალდებულოდ მიაჩნდათ თავისი მეცნიერული მომზადება პეტერბურგის სამეცნიერო წრეების წინაშე დაემტკიცებინათ და აი უკვე, 1911 წელს რუსეთში დაბრუნებული ახალგაზრდა მეცნიერი პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში აბარებს გამოცდებს, მას მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი ენიჭება, ამავე დროს იგი ინიშნება სამედიცინო ინსტიტუტის ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრის მთავარ ქირურგად.

ჯერ კიდევ პროფესორი პიროგოვი აღნიშნავდა, რომ „გულის ჭრილობები განსხვავდებიან სხვა ჭრილობებისაგან დიაგნოზის სირთულით და მათი განკურნება შეიძლება განვიხილოთ როგორც კურიოზი“.

მე-19 საუკუნის დასასრულს, კარდიოგრაფის შემოღების შემდეგ გულის ჭრილობათა ოპერაციები ჩვეულებრივად უშედეგოდ მთავრდებოდა.

ი. ჯანელიძემ გაითვალისწინა და შეისწავლა წინამორბედ ქირურგთა შეცდომები, მოახდინა კარდიოგრაფიის მონაცემების დეტალური კლინიკური განხილვა, რის შედეგადაც დაჭრილი გულის სასწრაფო ოპერაციებში არნახულ შედეგებს მიაღწია.

ქირურგთა XII ყრილობაზე იგი აკეთებს ვრცელ მოხსენებას თემაზე — „გულის ჭრილობანი პეტრე-პავლეს საავადმყოფოს მასალების მიხედვით“, რამაც გულის ჭრილობათა ოპერაციისა და მკურნალობის ორიგინალურ მეთოდიკის შემუშავებით მსოფლიოს ქირურგთა ყურადღება მიიქცია.

პირველი მსოფლიო ომის პერიოდში ი. ჯანელიძე სამხედრო-საველე ჰოსპიტლების უფროსი ექიმია სხვადასხვა ფრონტებზე, იგი დაუღალავად მუშაობს დაჭრილ მებრძოლთა სიცოცხლის გადასარჩენად და ზოგჯერ სასწრაფო ოპერაციებს ადგილზევე აკეთებს.

მომდევნო წლებში იგი ზედიზედ აქვეყნებს გულის ქირურგიის საკითხებისადმი მიძღვნილ კაპიტალურ შრომებს, რომლებიც სპეციალური პრემიებით იქნა აღნიშნული და თავისებურ ენციკლოპედიას წარმოადგენენ გულის ქირურგიის დარგში.

მის მიერ მოწოდებული იქნა მხრის სახსრის ამოვარდნილობის ჩაყენების ორიგინალური წესი, რომელიც მსოფლიო მედიცინაში ჯანელიძის წესის სახელით არის ცნობილი.

ოცდაათიან წლებში მისივე ხელმძღვანელობით ლენინგრადში შენდება მედიცინის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით აღჭურვილი საუკეთესო ქირურგიული კლინიკა, რომლის ხელმძღვანელადაც ბოლო წლებამდე ის ითვლებოდა. 1984 წელს ი. ჯანელიძეს ირჩევენ ქირურგთა საკავშირო ასოციაციის თავმჯდომარედ.

1936 წ. იგი მეთაურობს საბჭოთა ქირურგების დელეგაციას ქირურგთა საერთაშორისო ყრილობაზე ქიკაგოში, ხოლო უფრო გვიან საბჭოთა ქირურგების დელეგაციის ხელმძღვანელია ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ქირურგთა XIV საკავშირო ყრილობაზე ი. ჯანელიძე საპროგრამო მოხსენებას აკეთებს თემაზე „დამწვრობისა და მისი მკურნალობის შესახებ“.

ჩვენი სამშობლოს დიდმა პატრიოტმა ი. ი. ჯანელიძემ დიდი სამამულო ომის წლებში საბჭოთა კავშირის საზღვაო ფლოტის მთავარ ქირურგად მუშაობის დროს მრავალ დაჭრილ მებრძოლს შეუნარჩუნა სიცოცხლე და გულ-მკერდის ნატყვიარ ჭრილობათა ურთულესი ოპერაციების ჩატარებით ისინი კვლავ დაუბრუნა საბჭოთა არმიის რიგებს.

სამამულო ომის დროს დაგროვებული მასალები მან გააშუქა თავის უკანასკნელ ნაშრომში — „ნატყვიარი ჭრილობით წარმოშობილი ბრონქიალური ხვრელები (ფისტულები)“, რომლისთვისაც მას 1950 წ. სტალინური პრემია მიენიჭა.

საკავშირო აკადემიის პრეზიდიუმის წევრი, სოციალისტური შრომის გმირი, სამხედრო-სამედიცინო სამსახურის გენერალ-ლეიტენანტი ი. ი. ჯანელიძე გარდაიცვალა 1950 წლის 14 იანვარს, იგი დაკრძალულია ლენინგრადის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, გამოჩენილი რუსი ფიზიოლოგის პავლოვის გვერდით.

საბჭოთა ქირურგები დღესაც წარმატებით იყენებენ ჩვენი დროის ამ დიდი მეცნიერის მიერ მოწოდებულ უახლეს მეთოდიკას, რომელიც საბჭოთა ქირურგიული მეცნიერების საუკეთესო მონაპოვარია.

# ქართული მხატვრული კერამიკა

ძველი ქართული კერამიკული ნაწარმების ღირსშესანიშნავი ექსპონატებია თავმოყრილი საქართველოს მუზეუმებში. უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე წარმოებული დიდი მასშტაბის არქეოლოგიური გათხრების შედეგად (თრიალეთი, მცხეთა-სამთავრო, დმანისი, გუდარეხი, თბილისი, იყალთო და სხვ.) აღმოჩენილია შესანიშნავი ორნამენტებით მორთულ-მოჩუქურთმებული კერამიკული ჭურჭელი, მრავალნაირი სახეობის ლიტრა, სურა, კოკა, ქვევრი და სხვ.

თრიალეთის (წალკის) რაიონის ყორღანების გათხრისას 1936-1939 წ. ნაპოვნია ძალიან დიდი ზომის ქვევრისებური ჭურჭელი. აქვეა, შავი, კრიალა ზედაპირიანი ჭურჭელი, რომელიც შემკულია მდიდარი ორნამენტებით, მცენარეებით და ცხოველთა სამყაროს წარმომადგენლებით. მრავლად გვხვდება ძვირფასი ორნამენტებით დამშვენებული წვრილი საოჯახო და სარიტუალო ჭურჭლეული.

მცხეთა-სამთავროს ნეკროპოლის გათხრისას აღმოჩენილია მდიდარი კერამიკული ინვენტარი, რომელიც მიეკუთვნება XIV-III—I-III საუკუნეებს. აქ მოპოვებულია როგორც შავი და რუხი, ისე წითელი კერამიკული ნაწარმი. ამ ნაწარმს ახასიათებს მხატვრულად შემკობის სხვადასხვა ტექნიკური ხერხები. ყველაფერი ეს მაღალ ტექნიკურ და მხატვრულ კულტურაზე ლაპარაკობს.

შოთა რუსთაველის 750 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით 1936-1937 წ. ჩატარდა დმანისის საცდელი გათხრები, სადაც აღმოჩენილი იყო



კ. ბარამიძე. — „მარანი“.

ანგობიანი კერამიკული ჭურჭელი და მისი უამრავი ფრაგმენტი.

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ზემოდასახელებულ არქეოლოგიურ გათხრებში მოპოვებული მხატვრული კერამიკის ნაწარმები ძირითადად დამზადებულია ფერადი თიხებისაგან და თითქმის არსად არა ჩანს თეთრი თიხის ნაკეთობანი. მხოლოდ ამ უკანასკნელ წლებში გამოვლინებული იქნა ჩვენში ფაიფურისა და ფაიანსის მრეწველობისათვის საჭირო თეთრი თიხები. ასეთი კაოლინური თიხები აღმოჩენილია 1931 წ. მახარაძის რაიონში და 1932 წ. ბოლნისის რაიონში. კვლევა-ძიებითი ცდების შედეგად, რომელიც ამ თიხებზე ჩაატარა თბილისის სამხატვრო აკადემიის კერამიკის კათედრამ, მიღებული იქნა პირველი ფაიფური საქართველოს ნედლეულიდან. მაგრამ დასახელებული რაიონების თეთრი თიხები თავისი თვისებებით — ქიმიური შემადგენლობით, გრანულომეტრიით და პლასტიკურობით — არ წარმოადგენენ მაღალი ხარისხის ნედლეულს, ამიტომ გაუხვების გარეშე, შეუძლებელია მათგან მაღალხარისხოვანი ფაიფურის ნაკეთობათა მიღება. მეორე მხრივ, არაა გამორიცხული შესაძლებლობა, რომ შემდგომმა გეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ ჩვენი მიწა-წყლის ბარაქიან

ვ. ხელაშვილი. — დეკორატიული ვაზა.

წიაღში კიდევ გამოავლინოს ტექნიკურად უფრო ძვირფასი კაოლინებიც.

მხატვრული გამოყენებითი კერამიკის განვითარების პერსპექტივები ჩვენში, ცხადია, არ ამოიწურება ფაიფურ-ფაიანსის წარმოებისათვის საჭირო ნედლეულით, ე. ი. მარტო კაოლინური თიხებით და მათი სხვა დამხმარე ნედლეულით (მინდვრის შპატი, კვარცი, ცეცხლგამძლე თიხა, თაბაშირი, ცარცი და სხვ., რომლის მარაგი სავსებით სამრეწველო მნიშვნელობისაა). ჩვენი რესპუბლიკა მდიდარია, აგრეთვე, მხატვრული კერამიკისათვის საჭირო სხვა ძირითადი ნედლეულითაც. ჩვენი რესპუბლიკის მრავალ პუნქტში მოიპოვება შესანიშნავი სატერაკოტე, საანგობე და სხვა ტექნიკური ღირსების თიხები, რომლებიდანაც შეიძლება მდიდრული და ფაქიზი, ნაზი, მეტყველი და ლამაზი საოჯახო თუ საზოგადო დანიშნულების საგნების კეთება.

უკვე არიან ქართველი კვალიფიციური კადრები და პროფესიონალი ოსტატები, რომლებიც აკეთებენ მოჭიქულსა და საუცხოოდ მოხატულ თიხის ჭურჭელს, რომლებიც ქმნიან თიხისაგან ძვირფასი ნაწარმის მრავალნაირ ასორტიმენტს. მხატვრული გამოყენებითი კერამიკის მრეწველობის განვითარებისათვის თბილისში უკვე აშენებულია მხატვრული კერამიკის დიდი სამრეწველო კომბინატი, მოქმედებს კაფელის ფილების ქარხანა, რიგ კერამიკულ საწარმოებთან მოწყობილია მხატვრული მოჭიქული ნაწარმების საამქროები და სხვ.

**დოცენტი მ. ხანანაშვილი**



# საქართველოს ეთნოგრაფიული გამოფენა

**ანდრო ლეკიაშვილი**

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

ოდა-სახლის ჭერის შემკულობა.
ჩუქურთმა ხეზე.



გლეხის სახლი — დარბაზი. შიგა ხედი.

აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში გაიხსნა საქართველოს ეთნოგრაფიული გამოფენა, რომელზეც ასახულია ქართველი ხალხის ძველი, რევოლუციამდელი და ახალი, სოციალისტური ყოფა და კულტურა. გამოფენას უჭირავს ხუთი დიდი დარბაზი.

საქართველოს ეთნოგრაფიული გამოფენის პირველ ნაწილში ასახულია ქართველი ხალხის ძველი კულტურისა და ყოფის ძირითადი მომენტები. მეურნეობის ხაზით: მეტალურგია, მემინდვრეობა, მესაქონლეობა, მევენახეობა-მეღვინეობა, კერამიკული და საფეიქრო წარმოება, მეფუტკრეობა, მეთევზეობა, ნადირობა, აგრეთვე საფაბრიკო-საქარხნო წარმოება, ბაზრები და სხვ.; მატერიალური კულტურის ხაზით: შრომის იარაღები, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი, ტრანსპორტი, კოსტუმი და სხვ.; სულიერი კულტურის ხაზით: ხალხური მუსიკალური საკრავები, ორნამენტი და სხვ.

გამოფენაზე პირველ რიგში ვეცნობით ქართულ მეტალურგიულ ხელოვნებას: ოქროს, ვერცხლის, სპილენძის, ბრინჯაოსა და რკინის დამუშავების ნაირ ნერხებს, როგორიცაა: ცივი კვერვა, ჩამოსხმა, ცვარა, ამოკვეთა, გრეხილი, ზარნიში, სვეადა, მოოქვა და მინანქარი; ლითონის ნაწარმის შესანიშნავ ნიმუშებს, სათანადო ხელსაწყო-იარაღებს...

ცხადია, რომ ლითონის დამუშავების ეს რთული და მაღალი კულტურა უძველეს ტრადიციებსა, საწარმოო გამოცდილებასა და შრომით ჩვევებზეა აღმოცენებული. მართლაც, საგამოფენო ტექსტში ვკითხულობთ: „ქართველ ტომებში ლითონის მოპოვება და წარმოება IX-VI სს ძვ. წ. მაღალ დონეზე იდგა... იმდროინდელ კულტურულ სამყაროში თუბალებს, ხალიბებსა და მოსინიკებს საუკეთესო მეტალურგების სახელი ჰქონდათ მოხვეჭილი. მათი ლითონის ნაწარმი აღმოსავლეთით ასურეთსა და მიდიას, ხოლო სამხრეთით პალესტინას სწვდებოდა“... განსაკუთრებით ცნობილი ყოფილა ქართველი ტომების რკინის ნაწარმი. ანტიკური წყაროები მოგვითხრობენ, რომ ხალიბები და მოსინიკები ფლობდნენ საიდუმლოებას — რკინისა და სპილენძის მადანს გამოდნობის დროს ურევდნენ „ერთგვარ მიწას“, „ცეცხლგამძლე „ქვას“, რაც ლითონს მაღალ ღირსებას ანიჭებდა. აღსანიშნავია, რომ რკინის გამოდნობის ეს წესი უკანასკნელ ხანებამდე ცოცხლობდა ქართულ მეტალურგიულ ხელოვნებაში. წედისელი მეტალურგები, განთქმული წედისური ფოლადის მისაღებად, რკინას გამოდნობის პროცესში ურევდნენ შავი ქვის მადანს — პიროლუზიტს. 2500 წლის წინანდელი ქართული მეტალურგიული საიდუმლოება თანამედროვე ეთნოგრაფიული სინამდვილის შესწავლამ ახსნა.

გამოფენაზე წარმოდგენილ სხვადასხვა დანიშნულების მრავალრიცხოვან შრომის იარაღთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სახვნელი იარაღები. საქართველო ხომ მემინდვრეობის ერთ-ერთი უძველესი სამშობლოა და ქართველებიც სამართლიანად ატარებენ მიწათმოქმედების პატრიარქთა სახელს.

საქართველო, აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის მოსწრებული თქმით, ძველებური სახვნელების ცოცხალი მუზეუმია. ექსპონირებულია ორიგინალები: რაჭული, ფშავური, ხევსურული სახვნელები, ქართლური ორხელა და დიდი გუთანი. აქვეა ქართული სახვნელების ტაბულები, რომლებიც იმითაც არიან მნიშვნელოვანი, რომ იძლევიან სახვნელთა მეცნიერულად ყველაზე უფრო გამართულ და დამაჯერებელ კლასიფიკაციას. მას საფუძვლად უდევს ამ სამიწათმოქმედო იარაღების დანაწილება ფუნქციის მიხედვით. (მისი ავტორია პროფ. გ. ჩიტაია).

მევენახეობა-მეღვინეობის ხაზით გამოფენაზე წარმოდგენილია ღვინის დაყენების ორიგინალური და უძველესი ქართული წესის ყველა ძირითადი ელემენტი; ექსპონირებულია ხის საწნახელი, საქაჯავი, ქვევრი, თაღარი, სარცხი და სხვ.

ნაგებობათაგან აღსანიშნავია დარბაზული სახლის დიორამა. დიორამა სრულ წარმოდგენას გვიქმნის ქართული საერთო ხუროთმოძღვრების ამ შესანიშნავი ძეგლის შესახებ. ინტერესით ვათვალიერებთ დარბაზის გვირგვინს ბუღაურებიან დედაბოძს... მნახველის ყურადღებას იპყრობს ხალხური ტრანსპორტის სხვადასხვა სახეობანი, ხის ჩუქურთმის ლაზური შედევრები და სხვ.

ყოველივე აქ წარმოდგენილს, იქნება ეს შრომის იარაღი, ნაგებობა, ტრანსპორტის სახეობა, ორნამენტი თუ კულტურის სხვა ელემენტი, ქართველი ხალხის ორიგინალური შემოქმედების ბეჭედი აზის, ხოლო იმის წყალობით, რომ გამოფენაზე წარმოდგენილი კომპლექსები მოცემულია ისტორიულ ასპექტში— სათანადო არქეოლოგიური და ძველი წერილობითი მონაცემების საფუძველზე, მნახველს საშუალება ეძლევა ქართული კულტურის განვითარებას თვალი გაადევნოს უძველესი დროიდან, და რიგ შემთხვევაში ქართველებისა და მათი მეზობლების კულტურულ-ისტორიული ურთიერთობაც წარმოიდგინოს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქართველი ხალხის ცხოვრებაში სოციალისტური ერა დაიწყო. საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოში აყვავდა და გაიფურჩქნა ახალი კულტურა, არნახულ განვითარებას მიაღწია მრეწველობამ და სოფლის მეურნეობამ.

შევდივართ ეთნოგრაფიული გამოფენის იმ დარბაზებში, რომლებშიაც თანამედროვე საქართველოს სახალხო მეურნეობა და კულტურაა ასახული.

გამოფენაზე წარმოდგენილია თემები: მეტალურგია, ქართული ფოლადი, რუსთავი — ქართული მეტალურგიის ქალაქი, ჭიათურის მარგანეცი, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, ქართული ავტომობილი, კერამიკული წარმოება, მემინდვრეობა, სარწყავი სისტემა, მევენახეობა-მეღვინეობა, მეცხოველეობა, ჩაი, ციტრუსები, მეხილეობა-მებოსტნეობა, მანქანა-ტრაქტორების სადგური, საბჭოთა მეურნეობა, აგრეთვე თანამედროვე კოსტუმი, ნაციონალური სპორტი და სხვ.

ამ თემების ფონზე გამოფენაზე გაშლილია უშუალო მწარმოებელთა — მუშების და კოლმეურნე გლეხობის საწარმოო, საზოგადოებრივი და საოჯახო ყოფა.

გამოფენაზე ეფექტურად და საინტერესოდაა ნაჩვენები მუშათა რაციონალიზატორული მოძრაობა, შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვანი ზრდა და ამის საფუძველზე მშრომელთა ცხოვრების მატერიალური პირობების განუხრელი აღმავლობა. კარგად არის ასახული საწარმოო კადრების ჩამოყალიბების პროცესი და ის დიდი და უანგარო დახმარება, რომელიც მოძმე ხალხებმა და პირველ რიგში დიდმა რუსმა ხალხმა აღმოუჩინა ქართველ ხალხს კვალიფიციური ახალგაზრდა მუშათა კადრების მომზადების საქმეში.

ყურადღებას იპყრობს ჭიათურის მაღაროების ერთი ნაწილის მაკეტი. მისი გარეგანი ხედი წარმოდგენას გვაძლევს მაღაროს მუშათა უბნის დასახლების ტიპისა და ელექტრიფიცირებულ საჰაერო-საბაგირო გზების შესახებ.

პატარა ელექტროლოკომოტივზე ხელის დაჭერით ვეებერთელა მაკეტი შუაზე იხსნება და მნახველის წინაშე ჰორიზონტალურ ჭრილში მაღაროს შინაგანი მოწყობილობის სურათი იშლება: შავი ქვის ელექტრიფიცირებული ბურღვა და გამოზიდვა, ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით მოწყობილი მაღაროს ჰორიზონტალური შტოლნების გამაგრების სისტემა, ჰაერის სასრუტი მილების სისტემა და სხვ. ასევე საინტერესოა ქართული მეტალურგიის ქალაქის რუსთავის მაკეტი. იგი ცხადად გვიჩვენებს ახალგაზრდა სოციალისტური ქალაქის სახეს.

საქართველოს ეთნოგრაფიულ გამოფენაზე საინტერესოდ და ცოცხლად არის ასახული კოლმეურნე გლეხობის ყოფა და კულტურა. კოლმეურნეთა საწარმოო ყოფის არსებითი მხარეების გაგებაში მნახველს დიდ დახმარებას უწევს კოლმეურნეობისა (ს. არხილოს-კალოს კიროვის სახ. კოლმეურნეობა) და მანქანა-ტრაქტორების სადგურის (ს. დიღმის მტს-ი) სტრუქტურათა დიაგრამები: თვალსაჩინოდაა მოცემული კოლმეურნეობისა და მტს-ის მმართველობისა, შრომის ორგანიზაციისა და შრომის ანაზღაურების სისტემა, მტს-ების როლი საკოლმეურნეო წარმოებაში და სხვ. გამოფენაზე გამახვილებულია ყურადღება ისეთ არსებითი ხასიათის მომენტებზე, როგორიცაა სოფლის მეურნეობის დარგებში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციისა და მოწინავე აგროწესების დანერგვა. მაგ., მეცხოველეობის ხაზით ნაჩვენებია მექანიზაცია შრომატევადი სამუშაოებისა: ძროხის წველა, ცხვრის პარსვა, საქონლისათვის წყლის მიწოდება, საკვების გადამუშავება და სხვ. სათანადო ტექსტები და დიაგრამები მიუთითებენ იმ წარმატებებზე, რომლებიც მიღწეულია ავტოწველისა, ავტოწყურვებისა, ელექტროპარსვისა და სხვათა შედეგად. მარცვლეულისა, ჩაისა და ციტრუსების მეურნეობათა მაგალითზე მკაფიოდ არის ნაჩვენები ის ეფექტი (მოსავლიანობის ზრდა, მუშახელისა და სამუშაო დროის დაზოგვა და სხვ.), რომელიც მიღწეულია ამ დარგებში მოწინავე აგროწესების დანერგვის შედეგად. (მარცვლეულის კვადრატულ-ბუდობრივი, ჯვარედინად და ვიწრო მწკრივებად თესვა, ჩაის ბუჩქის გასხვლისა და ჩაის ფოთლის კრეფის სამმინდვრიანი სისტემა და სხვ.) გამოფენაზე წარმოდგენილი მასალა გვიჩვენებს მჭიდრო კავშირს მეცნიერებასა და ჩვენი რესპუბლიკის მრავალფეროვან მეურნეობას შორის.

კოლმეურნეთა საწარმოო ყოფის გვერდით გამოფენაზე კარგად არის ასახული კოლმეურნე გლეხობის ბედნიერი დოვლათიანი ცხოვრება. წარმოდგენილია სრული სურათი თანამედროვე, სოციალისტური სოფლისა, მისი მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლებით, სკოლებით, კლუბებით, საავადმყოფოებით, ელექტროსადგურებით, რადიოკვანძებით და ა. შ. მოცემულია აგრეთვე საკოლმეურნეო სპორტის ნაციონალური სახეობანი: ცხენბურთი, ისინდი, ყაბახი, ლელო, ჭიდაობა და სხვ.

გამოფენაზე თვალსაჩინოდ არის ასახული ქართველი ხალხის შრომითი მეგობრობა მოძმე ხალხებთან. ნაჩვენებია სოციალისტური შეჯიბრება მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგებში, როგორც რესპუბლიკის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთაც. ყურადღებას იპყრობს საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ჩვენი რესპუბლიკის მონაწილეობის ამსახველი სტენდი.

გამოფენის საექსპოზიციო-თემატური გეგმის ავტორი და გამოფენის მოწყობის მეცნიერული ხელმძღვანელია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წ.-კორ. პროფ. გ. ჩიტაია, მხატვრული გაფორმება ეკუთვნის მხატვარ ნ. ბრაილაშვილს.

საქართველოს ეთნოგრაფიული გამოფენა თავისებური შეჯამებაა იმ სისტემატური და ნაყოფიერი მუშაობისა, რომელსაც ქართველი საბჭოთა ეთნოგრაფები მრავალი წლის განმავლობაში ეწევიან ქართველი ხალხის კულტურისა და ყოფის შესწავლის ხაზით.

**ქ. რუსთავის მაკეტი.**



СФ 10/113

## კროსვორდი



ეროვნული ბიბლიოთეკა

### გ. გასიგაშვილი

1642 წლის 19 აგვისტოს ოსტ-ინდოეთის გუბერნატორის ვან-დიემენის დავალებით სამხრეთის უცნობი მიწის („Terra Australis incognita") გამოსაკვლევად გაიგზავნა ექსპედიცია, რომელსაც ახალგაზრდა კაპიტანი აბელ იანსონ ტასმანი მეთაურობდა. ტასმანი წავიდა სამხრეთით 42° პარალელით და იმავე წლის 24 ნოემბერს ჩრდილო-აღმოსავლეთით დაინახა უცნობი მიწა მაღალი მთებით, რომელიც დაფარული იყო ხშირი დაბურული ტყით. 1 დეკემბერს ექსპედიციამ ღუზა ჩაუშვა ფრედერიკო ჰენრიჰის ყურეში. ადგილი დასახლებული და გასაოცარი სილამაზისა იყო. ახლად აღმოჩენილ მიწას, ოსტ-ინდოეთის გუბერნატორის პატივსაცემად „ვან დიემენის მიწა" ეწოდა (შემდეგში „ტასმანია"). ტასმანიის აღმოჩენიდან 130 წლის შემდეგ ინგლისელმა ჯემს კუკმა კუნძული ტასმანია ავსტრალიასთან ერთად ინგლისს საკუთრებად გამოაცხადა. 1788 წელს ავსტრალიაში უკვე ვხედავთ პირველ ინგლისელ კოლონისტებს, აქედანვე იწყება მკვიდრი მოსახლეობის შეზღუდვა, აბუჩად აგდება და განადგურება. თუ ევროპელთა მოსვლისას ავსტრალიაში 250-300 ათასი მცხოვრები იყო, კოლონიური რეჟიმის შედეგად მათი რიცხვი 47 ათასამდე დავიდა. ავსტრალიელებზე უარესი დღე დაადგათ კუნძულ ტასმანიის მცხოვრებლებს, რომლებიც ინგლისელმა განათლებულმა კოლონიზატორებმა ცეცხლითა და მახვილით გაანადგურეს. დღეს ტასმანიის აღმოჩენიდან 313 წლის შემდეგ ამ კუნძულის არც ერთი მკვიდრი აღარ არის ცოცხალი. ბუნებით მშვიდი და უწყინარი ტასმანიელები ცხოვრობდნენ კუნძულ ტასმანზე. ისინი ძალზე ჩამორჩენილი იყვნენ კულტურული განვითარების მხრივ.

ტასმანიელების ტექნიკური ჩამორჩენილობა იქიდანაც ჩანს, რომ მათ არ შეეძლოთ მაგალითად ქვისათვის ხის ტარის გაკეთება, ანდა შუბისათვის ქვის წვერის გაკეთება. თიხის ჭურჭელი მათთვის უცნობი იყო, სამაგიეროდ იცოდნენ კალათებისა და ჩანთების ქსოვა. დიდრონი ხეების კანიდან ამზადებდნენ უბრალო ნავებს. ტასმანიელთა საცხოვრებელს წარმოადგენდა ბუნებრივი გამოქვაბულები, ანდა ძალზე უბრალო ქარსაფარი ქოხები, რომლებიც ხის ტოტებით და ფოთლებით იყო გადახურული. ტანსაცმლად ხმარობდნენ უმთავრესად კენგურუს ტყავს. სიცივისა და მწერებისაგან თავდაცვის მიზნით ტანს იზელდნენ ცხიმით. საკვების მოპოვება ძირითადად ორი გზით ხდებოდა: შეგროვებით და ნადირობით. ტასმანიელებმა იცოდნენ თევზის ჭერა ხელით და კალათებით. რაც შეეხება ტასმანიელთა საზოგადოებრივ წყობას, ზოგიერთი მონაცემით მათ შორის იყო გაროვნული წყობა თავისი განვითარების ადრეულ ფაზაში. გვარების გაერთიანება ტომს შეადგენდა, ასეთი ტომები 20-მდე იყო. თვითეული ჯგუფი განსაზღვრულ ტერიტორიაზე ცხოვრობდა, რომლის საზღვრის დარღვევაც ომის გამოცხადებას ნიშნავდა. გვარის შიგნით ქორწინება აკრძალული იყო ე. ი. მოქმედება ეგზოგამია. მიცვალებულებს მარხავდნენ მიწაში და ხის ფუღუროებში, იცოდნენ გვამის დაწვაც (კრემაცია).

დღეს ტასმანიელები აღარ არიან. ისინი ევროპელებს მეგობრულად შეხვდნენ, მაგრამ ამ უკანასკნელებმა მათ ტყვია დაუშინეს. ჰ. ჰული წერს: „შავებზე (ე. ი. ტასმანიელებზე—გ. გ.) ნადირობა კოლონისტების საყვარელი სპორტი იყო". შემდეგ კი მოგვითხრობს ერთ მაგალითს: „დანიშნავდნენ დღეს, მოიწვევდნენ მეზობლებს, გამართავდნენ სადილს... სადილის შემდეგ თოფებით შეიარაღებული „ჯენტლმენები" ძაღლებით მიდიოდნენ შავებზე სანადიროდ. მონადირეები დიდის ზეიმით ბრუნდებოდნენ სახლში თუკი მათი „ნანადირევი" 2-3 ადამიანი იყო". 1820 წლიდან 1834 წლამდე ტასმანიაში მიმდინარეობს დაუნდობელი ბრძოლა „შავი ომი", რაც გადაიზარდა გაშმაგებულ ნადირობად ტასმანიელებზე, რომლებიც უსუსურნი იყვნენ თეთრკანიანთა ცეცხლმსროლელ იარაღის მიმართ. ომი ტასმანიელთა ტრაგედიით დამთავრდა, მოსახლეობის რიცხვი საგრძნობლად შემცირდა. თუ ევროპელთა მოსვლისას 8.000 ტასმანიელი იყო 1835 წელს მათი რიცხვი 210-ზე დავიდა, ხოლო 1842 წლისათვის 54-ზე. „ვშიშობ, სხვათა შორის, რომ მთელი ეს ბოროტება ყველა მისი შედეგით აუცილებლად გამოწვეული იყო ზოგიერთი ჩემი თანამემამულის სამარცხვინო საქციელით" — შენიშნავდა დიდი ბუნებისმეტყველი ჩარლზ დარვინი 1836 წელს.

1860 წელს 11 ტასმანიელი დარჩა, ხოლო უკანასკნელი წყვილი ტასმანიელი: კაცი შენსი და ქალი ლალა როქი ინგლისში იქნენ წაყვანილნი „მაღალი" საზოგადოების გასართობად. 1877 წელს გარდაიცვალა უკანასკნელი ტასმანიელი ქალი და კუნძული აღმოჩნდა ინგლისური ოფიციალური წყაროების მიხედვით „მკვიდრი მოსახლეობისაგან გაწმენდილი".

აი რა შედეგი გამოიღო ტასმანიაში „მაღალი" კულტურის წარმომადგენელთა მოსვლამ და იმ არადამიანურმა მოპყრობამ, რასაც ინგლისელი კოლონიზატორები სჩადიოდნენ. ეს არის ერთ-ერთი ფურცელი იმ სისხლიანი და სამარცხვინო ისტორიისა, რომლის ავტორები იყვნენ და არიან ინგლისელი კოლონიზატორები.

### ჰორიზონტალურად:

1. ძველი ქართული სიმებიანი საკრავი. 6. ბლანტი ნივთიერება, გამოიყენება ტექნიკაში. 9. სპორტული იარაღი. 10. მატყლის ნაწარმი. 11. გარეული ცხოველი. 15. წისქვილის დიდი ქვა. 19. ცხარე საკვები. 22. უკრაინული მუსიკალური ინსტრუმენტი. 24. საომარი თავსაბურავი. 25. ქალაქი იტალიაში. 26. შეიარაღებული ჯგუფი. 27. ამერიკელი მწერალი. 28. ეკლიანი ბალახი. 30. ტექნიკური მცენარე. 32. მტრისთვის საწინდრად დატოვებული ადამიანი. 33. უბედური შემთხვევა. 34. ქალაქი — გამოქვაბული ძველ საქართველოში. 38. რაიონი საქართველოში. 39. საზეინკლო იარაღი. 40. კერძი. 43. გასული საუკუნის ქართველი მწერალი. 44. ფრინველთა და მხეცთა სამწყვდევი.

### ვერტიკალურად:

2. მკრთალი ფერი. 3. ინდოეთის გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე. 4. განთიადი. 5. სისხლნაკლებობა. 7. ბოსტნეულის მავნებელი. 8. მინდორი. 12. გადასახადი საფქვავზე. 13. გასული საუკუნის რუსი მწერალი. 14. საჩელმწიფო ევროპაში. 16. გამყოლი, მცველი. 17. ცნობილი ქართველი მათემატიკოსი. 18. საფეიქრო დარგის ხელსანი. 20. სამხედრო შენაერთი. 21. მცენარე. 23. დიდი ჯამი. 29. მტაცებელი ფრინველი. 33. ძველი ესპანური ფული. 35. გამოჩენილი ფრანგი მწერალი. 36. სამხედრო წოდება. 37. მიჯნა. 41. მაქოს გასატარებელი ხვრელი. 42. გამაფრთხილებელი სვლა ჰადრაკში.

### „დროშის" № 1-ში მოთავსებული კროსვორდის პასუხი:

#### ვერტიკალურად:

1. აეროგრაფია. 2. აბრევიაცია. 4. აყალო. 5. კალცი. 6. სილვა. 7. ეტაპი. 9. ავტორი. 10. რუტინა. 11. კონსულტაცია. 12. აკადემიკოსი. 15. სპექტრი. 16. ინგლისი. 19. ბალუსტრადა. 21. არისტოტელი. 22. ლამბდა. 23. პოლიპი. 25. გერბი. 27. ინდრა. 29. ზვარი. 30. ნაცია.

#### ჰორიზონტალურად:

3. ტემზა. 5. კოლბა. 8. ლიტოგრაფია. 10. რეგლამენტი. 11. კონსტიტუცია. 13. აბანო. 14. „კვალი". 15. სარანგი. 17. აპულეი. 18. ეგზემა. 19. ბატატი. 20. ლირიკა. 24. იკაროსი. 25. გლუვი. 26. სუსხი. 28. აზერბაიჯანი. 31. აბგრეგაცია. 32. ინიციატორი. 33. ადათი. 34. აღალი.



ნახატი-ხუმრობა. მხატვარი გ. ფირცხალავა


**რედაქტორი გრ. აბაშიძე**

**სარედაქციო კოლეგია:** შ. ბუაჩიძე, შ. გვინჩიძე (პ/მგ. მდივანი), ი. გიგინეიშვილი. დ. დოლიძე, მ. სააკაშვილი, ი. ციციშვილი, ვ. ჭელიძე, უ. ჯაფარიძე.

ნომერი გააფორმა ნ. ჩერნიშოვმა

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პრ. № 91. ტელ. 3-95-38.

ფასი 3 მან.

გარეკანი და ჩანართი გვერდები დაბეჭდილია ფოტოცინკოგრაფიაში

ხელმოწერილია დასაბეჭდად 14/II-55 წ. გამომც. № 7. ქაღ. ზომა 70×108 1/8. ნაბეჭდი ფურც. 3 1/2. ტირაჟი — 15.000. შეკვეთის № 33. უე 00552.

**Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дрошa" (на грузинском языке)**

ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ., № 5.


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერთი დღე ბაკურიანში

მხატვარი თენგიზ მირზაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ახვალხ თუ არა ბაკურიანში, მთელს არსებაში უცნაურ ცკლილებას იგრძნობთ. სიარულითაც სხვანაირად ეგრეთ წოდებული მეთხილამურის ნაბიჯებით დადიხართ და სუნთქვითაც თითქოს უფრო ღრმად, მთელი მკერდითა სუნთქავ.. თხილამურებზე შეჯიბრებისას ეს სასტიკად აკრძალულია, მაგრამ ახლა, როცა მწრთვნელი ვერა გხედავთ, ია ქირითაც შეგიძლიათ ისუნთქოთ. ბარგს ჯერ კიდევ გამოუცდელ ამხანაგს ჩააბარებთ და ტურისტული ბაზისკენ მანქანით გაისტუმრებთ, თვითონ კი უმალვე თხილამურებს მოარგებთ, რადგან ბაზამდე დარჩენილი რაღაც ხუთასიოდე მეტრიც კი ფეხით გასავლელად არ გემეტებათ. მთელი ბაკურიანი, დიდ-პატარა თითქოს თხილამურებზე შემდგარა. აქ ბავშვები დედებს მეზობლებთან თხილამურებით ეგზავნებიან და ორსტრიქონიან მოკითხვის დეპეშებს ფოსტალიონები თხილამურებით დაატარებენ.

ნაცნობებთან შეხვედრა, თოვლში წაქცევა, სიცილი, ახალგაზრდული შეძახილები ერთთავად აცოცხლებენ ამ მაღლმთიან კურორტს, რომლისთვისაც უცხოა ,,სეზონური ალიაქოთის'' შემდეგ ჩამომდგარი მოწყენილობა.

ის ზამთარ-ზაფხულ ახალგაზრდობის საყვარელი დასასვენებელი ადგილია.